საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 79 (99) | ოთხშაბათი, 24 აპრილი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

23 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის მთავრობის წევრები.

სესიის დღის წესრიგის განხილვისას გამოვიდნენ დეპუტატები დავით ბერძენიშვილი და ნოდარ ნათაძე, რომლებმაც წინადადება გამოაყენეს დღის წესრიგში შეეტანათ საკითხები ამ ბოლო ხანს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და შიდა ქართლში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ, მაგრამ შემდეგ სიტყვა აიღო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც უზენაესი საბჭოს წევრებს გააცნო ამ რეგიონების საერთოდ მდგომარეობა, ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება იქ სიტუაციის ნორმალიზაციისათვის, თქვა, რომ მიზანშეწონილად არ მიაჩნია სესიის ახლანდელ სხდომაზე ამ საკითხების განხილვა, რასაც დეპუტატებიც დაეთანხმნენ.

დღის წესრიგის პირველ სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკის კანონებზე: პრეზიდენტის შესახებ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, „გარდამავალ პერიოდში ადგილობრივი მმართველობის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე გამოვიდა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის მდივანი გიორგი გულბანი.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე, დეპუტატები ბიბურზა აფრასიძე, რომან გოცირიძე, ბეჟან გონაშვილი, ზურაბ წიქარიძე, ნოდარ ნათაძე, ავთანდილ პოპიაშვილი, პაატა კოღუაშვილი, რუსლან ღონღაძე, აკაკი ბობოხიძე, ბაკურ გულუა, გურამ პეტრიაშვილი და სხვები. გაიმართა საფუძვლიანი აზრთა გაზიარება, რის შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო სამივე კანონი.

შემდეგ დეპუტატებმა განიხილეს „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" კანონში ცვლილებათა შეტანის საკითხი, რომელიც წარმოადგინა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ ნუგზარ მოლოდინაშვილმა. მიიღეს შესაბამისი კანონი, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის მეორე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქენი, რომლებიც სასამართლოს მიერ ცნობილი არიან არაქმედუნარიანად. აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან, ან რომელთა მიმართ სასჯელსასამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია პატიმრობა.

დღის წესრიგის მომდევნო სამ საკითხზე — საქართველოს რესპუბლიკაში ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ კანონის, ამ სამსახურის გავლის წესის დებულების დამტკიცების შესახებ, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების ეროვნული გვარდიის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ გამოვიდა უზენაესი საბჭოს თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის მუდმივი კომისიის ქვეკომისიის თავმჯდომარე ალეკო ვარძელაშვილი. ამ საკითხების განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები თენგიზ კიტოვანი, ნოდარ ნათაძე, გურამ მაკაცარია, დავით არევაძე, ზვიად ბოკუჩავა, ზურაბ წიქარიძე, ვაჟა გურგენიძე, აპოლონ სილაგაძე, საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის მინისტრი თამაზ გუგუშვილი, დეპუტატები ვაჟა ადამია, მაია ნათაძე, დავით ბერძენიშვილი, თედო ნინიძე, რამაზ სურმანიძე და სხვები. დეპუტატებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები და გადაწყვიტეს გადაედოთ პირველი ორი საკითხის განხილვა. მესამე საკითხზე კი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან ჯარებში — ეროვნულ გვარდიაში სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დავით კუპრაშვილის წარდგენილით დეპუტატებმა განიხილეს და მიიღეს კანონი საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ და ამასთან დაკავშირებით კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, აგრეთვე დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ" კანონის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ეკატი ბენდელიანი.

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარის თენგიზ სიგუას წარდგინებით უზენაესმა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დამტკიცა ზურაბ მინდელი.

მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად ვადამდე შეწყდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გივი გუმბარიძის უფლებამოსილებანი.

რესპუბლიკის სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა აქტუალური საკითხის გამო განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ სასოფლო და სატყეო მეურნეობის მინისტრი ნიკოლოზ იაშვილი, დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ლოვარდ ტუხაშვილი, მინდია სალუქვაძე, ვლადიმერ მირცხულავა, დამბარი ქენდური, გიორგი ქავთარაძე, ბიმურზა აფრასიძე და რომან გოცირიძე.

ამით სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

დარბაისელთა ცხარე კამათი

დეპუტატ დავით ბერძენიშვილის მოთხოვნამ გუშინ ბათუმში გამართული დემონსტრაციის მიმართ პარლამენტის პოზიციის შემუშავების შესახებ და საქართველოს სახალხო ფრონტის ლიდერის, დეპუტატ ნოდარ ნათაძის მიერ შემოთავაზებულმა შიდა ქართლში „ოსეთის" პრობლემის გადაჭრის ვარიანტმა კინაღამ შეცვალა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის დღის წესრიგი.

საქმეში ჩაერია პრეზიდენტი და ყველაფერი თავის ადგილას დადგა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გამოთქვა თავისი აზრი ბათუმის დემონსტრაციის შესახებ.

— ეს კიდევ ერთი დასტურია, იმ ჭეშმარიტებისა, — თქვა მან, — რომ სერიოზული საკითხების გადაწყვეტა ვერ ეგუება დაუფიქრებლობას, ემოციებსა და თვითნებობას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ზოგიერთი ახალგაზრდა მოღვაწის ამ არაშორსმჭვრეტელობით ისარგებლეს ყველა ჯურის პროვოკატორებმა, რომლებსაც კრემლი მართავს. ახლა ბათუმში მდგომარეობა ნორმალიზებულია.

პრეზიდენტმა დუმილით არ აუარა გვერდი არც სამაჩაბლოს პრობლემას. კერძოდ, მან განაცხადა, რომ საჭიროა დაიწყოს მზადება რეფერენდუმის მოსაწყობად, რომელშიც რესპუბლიკის მთელი ოსი მოსახლეობა უპასუხებს კითხვას: საჭიროა თუ არა საქართველოს ტერიტორიაზე პოლიტიკური ავტონომია?

კიდევ ერთი გამონკვეთილის წესით პარლამენტის სპიკერმა ბატონმა აკაკი ასათიანმა ნება მისცა დეპუტატს, ბატონ ნუგზარ მოლოდინაშვილს წაეკითხა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების შესახებ კანონის ცვლილება: არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად ავადმყოფი მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ არაქმედუნარიანად ცნო, აგრეთვე, ის პირები, რომლებიც სასამართლო განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილებში არიან, ან რომელთა მიმართ სისხლისსამართლებრივ-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით არჩეულია პატიმრობა.

შემდეგ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დღის წესრიგით იყო გათვალისწინებული. ყველაზე მეტადვე დისკუსია გამოიწვია ალტერნატიულ-შრომითი სამსახურის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის განხილვამ. მის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ ტრადიციონალისტი დეპუტატები ზვიად ბოკუჩავა, თენგიზ კიტოვანი და ნიკოლოზ კილასონია. მათი აზრით, ასეთი სამსახური დამამცირებელია ახალგაზრდა კაცისთვის, რომელმაც შაშხანა უნდა ამჯობინოს ნიჩაბს. ალტერნატიული სამსახურის დამცველთა მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ახლა რესპუბლიკაში, ომიანობის ნაკლებობის გამო, შეუძლებელია ყველა გაწვეულის გაგზავნა ჯარში. ამიტომ მათი გარკვეული ნაწილი ნებით უნდა ეწეოდეს შრომითს ბეგარას. მაგრამ ამან ბევრ დეპუტატს გაახსენა „ამბანაგ" ტროცკის ცნობილი შრომითი ბანაკები. სპიკერის წინადადებას, რომ კანონის განხილვა უახლოესი მომავლისათვის გადაედოთ, ორივე მხარე დაეთანხმა.

ინტერესი გამოიწვია დღის წესრიგში შეტანილმა საკითხმა „სხვადასხვა". სოფლის მეურნეობის მინისტრმა პარლამენტარებს სთხოვა დაეხმარონ მის დარგს. საქმე ის გახლავთ, რომ ზოგიერთი პრეფექტი ამჟამად გაჩაღებული საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დროს თანამდებობიდან ხსნის აგროსამსახურის მუშაკებს, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა თავის რაიონში ერთი კალმის მოსმით მოხსნა აგრარული საქმის ყველა სპეციალისტი...

დეპუტატმა მინდია სალუქვაძემ პარლამენტის წევრებს შეახსენა რომ უნივერსიტეტის წინ მხეცურად მოკლეს ორი ახალგაზრდა სტუდენტი, და მოუწოდა საზოგადოებრიობასა და საქართველოს სამართალდაცვითს ორგანოებს გაძლიერონ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ.

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

ბრძანებულება

ზ. ვ. მინდელის საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დანიშნოს ზურაბ ვიქტორის ძე **მინდელი** საქართველოს რესპუბლიკის ელექტროენერგეტიკის მინისტრად.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

ზურაბ ვიქტორის ძე მინდელი

დაიბადა ონის რაიონის სოფელ სორში 1937 წელს, მოსამსახურის ოჯახში. 1956 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1962 წელს — საქართველოს (ყოფილი) პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-თბოენერგეტიკოსის სპეციალობით. 1974 წელს აქვე დაამთავრა ასპირანტურა.

1961-1963 წლებში ზურაბ მინდელი განაწილებით მუშაობდა ტულის ოლქში თავისი სპეციალობით, საიდანაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურში გადმოიყვანეს. აქ იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

1981-1984 წლებში საზღვარგარეთ იყო ერაყში ერთ-ერთი თბოელექტროსადგურის ექსპლოატაციისა და რემონტის მთავარ საბჭოთა ექსპერტად და საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფის ხელმძღვანელად.

1985 წლიდან ზ. ვ. მინდელი კვლავ საქართველოშია. 1985-1986 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას. ამ პერიოდში საძიებო და ექსპერტიზის საკითხების პრიორიტეტულად და სწორად წარმართვის საფუძველზე დამტკიცდა საქართველოში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის მიზანშეუწონლობა, რომელიც საბოლოოდ დაიხურა კიდევ. 1987 წლიდან მუშაობდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის დირექტორად, ხოლო 1990 წლიდან — საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს" გენერალურ დირექტორად.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 18 აპრილის კანონის მე-2 მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არჩევნებში არ მონაწილეობენ ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან, ან რომელთა მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება — დაპატიმრება".

ეს კანონი ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის გ. გ. გუმბარიძის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 27 თებერვლის კანონის მეხუთე მუხლის შესაბამისად, ვადამდე შეწყდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის **გივი გრიგოლის ძე გუმბარიძის** უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

იმის გამო, რომ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ტყვარჩელის №103 და გუდაუთის №106 საოლქო საარჩევნო კომისიები არ ფუნქციონირებენ, ცენტრალური საარჩევნო კომისია წინადადებით მიმართავს ტყვარჩელის საქალაქო და გუდაუთის რაიონული საბჭოების პრეზიდიუმებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, ტყვარჩელში და გუდაუთის რაიონში განლაგებულ შრომით კოლექტივებს, საშუალო სპეციალური სასწავლებლების კოლექტივებს, ამომრჩეველებს, ა. წ. 8 მაისამდე წარუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების კანდიდატურები.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, არჩევნების ჩატარება დაეგალოთ საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიულ საარჩევნო კომისიებს, ბათუმის, გორის, ზუგდიდის, რუსთავის, ფოთისა და ქუთაისის საქალაქო საარჩევნო კომისიებს, თბილისის ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ჭ. სოხუმის №102, ტყვარჩელის №103, ბიჭვინთის №105, გუდაუთის №106, სოხუმის რაიონის №107, გულრიფშის №108, ოჩამჩირის №109 და გალის №110 საოლქო საარჩევნო კომისიებს, საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომლებმაც 1991 წლის 31 მარტს ჩაატარეს საქართველოს რესპუბლიკის რეფერენდუმი.

2. ნება დაერთოთ ზემოჩამოთვლილ ტერიტორიულ, ადგილობრივ და საოლქო საარჩევნო კომისიებს საჭიროების შემთხვევაში შეცვალონ საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ან შექმნონ ახალი საუბნო საარჩევნო კომისიები. ახალი საარჩევნო უბნებისა და საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა დამთავრდეს ა. წ. 11 მაისამდე.

3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნებში მოქალაქეები პარტიებსა და პრეზიდენტობის კანდიდატების წარმდგენ ამომრჩეველთა ჯგუფებს ნება მიეცეთ დანიშნონ ტერიტორიული, ადგილობრივი, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თითო წევრი, თუ მოცემულ კომისიაში არ არის მათ მიერ წარდგენილი წევრი. ამ მიზნით პარტიებმა, ამომრჩეველთა ჯგუფებმა ა. წ. 11 მაისამდე განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის ტერიტორიულ, ადგილობრივ, საოლქო საარჩევნო კომისიებს.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების გაზეთებმა, საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ გამოაქვეყნონ პრეზიდენტობის კანდიდატების წარმდგენი პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და ამომრჩეველთა ჯგუფების განცხადებები მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრეზიდენტრის (რაიონულმა და საქალაქო გაზეთებმა — შესაბამისი საარჩევნო კომისიის) წარდგენების საფუძველზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოების გაზეთებმა, საქართველოს რადიომ და ტელევიზიამ თანაბრად გამოუყონ ადგილი და დრო პრეზიდენტობის კანდიდატებსა და მათ წარმდგენებს წინასაარჩევნო მასალების გამოსაქვეყნებლად.

1991 წლის 22 აპრილი
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე
ვ. ხმალაძე.

საპარლამენტთაშორისო კონფერენციის რეზოლუცია „ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი დამოკიდებულების შესახებ"

დემოკრატიულ ფრაქციათა საპარლამენტთაშორისო კონფერენციას, ცნო რა ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს ხალხთა ნება თავიანთი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გამო, რაც ნათლად გამოზატეს ამ ქვეყნების პარლამენტებმა შესაბამის აქტებითა და დეკლარაციებით, აგრეთვე უშუალოდ თავად ხალხებმა გამოკითხვებსა და რეფერენდუმებში, საჭიროდ მიაჩნია სსრ კავშირის იმპერიული სტრუქტურების დემონტაჟის პროცესში ყოველნაირად შეეწყოს ხელი ლიტვის, ესტონეთის, ლატვიისა და საქართველოს ფაქტობრივი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

1991 წლის 22 აპრილი.
მოსკოვი.

შიდა ქართლი

ვითარება სამაჩაბლოში

22 და 23 აპრილს ცხინვალსა და მის გარშემო სოფლებში შედარებით სიმშვიდე იყო. ღამით მხოლოდ ქალაქის მხრიდან ისმოდა კანტიკუნტი სროლის ხმა.

როგორც ვიცით, ცხინვალში დღემდე დაკავებული ჰყავთ ოცზე მეტი ქართველი მოქალაქე, მათ შორის რუსთავის მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკები დამირ გოგია და ალექსი გუშარაშვილი. 23 აპრილს ცხინვალში ჩავიდნენ რუსთავის მილიციის წარმომადგენლები, რომლებმაც გამოძიებას წარუდგინეს თავიანთი ორი თანამშრომლის სამსახურებრივი დანაასაოებანი და იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ მათ არ ჰქონიათ ავტომატური იარაღი.

არონ ფუხაევმა, რომელიც ე. წ. ეროვნული ხსნის კომიტეტმა უკანონოდ დანიშნა ცხინვალის რაიონის პროკურორად და მიანდო ქართველების საქმის გამოძიება, არაფრად ჩაგდო ეს საბუთები და შემოთვალა თავისი პირობა — ყველა ქართველს გავათავისუფლებთ, თუ დაგვიბრუნებთ რუდოლფ ბესტაევსო. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებულ ბესტაევს ბრალად ედება უმძიმესი დანაშაული.

ექსტრემისტი არონ ფუხაევისაგან ასეთი პირობის მოთხოვნა გასაკვირი არ არის. გასაკვირი და აღმაშფოთებელია ის, რომ მართლმსაჯულების მსახური ჰქვია ასეთ პიროვნებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.

102-ე კონგრესის I სესია. სენატის რეზოლუცია № 94

102D CONGRESS
1ST SESSION

S. RES. 94

Commemorating the two-year anniversary of the Soviet crackdown in Tbilisi, Georgia, on April 9, 1989, and urging the Soviet Union to recognize the will of the Georgian people and the legitimacy of the March 31, 1991, referendum.

IN THE SENATE OF THE UNITED STATES

APRIL 9, 1991

Mr. HELMS submitted the following resolution; which was referred to the Committee on Foreign Relations

RESOLUTION

Commemorating the two-year anniversary of the Soviet

ეძღვნება საქართველოში, თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საბჭოეთის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის 2 წლისთავს და მოითხოვს საბჭოთა კავშირისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წელს მარტის რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

შეერთებული შტატების სენატში 1991 წლის 9 აპრილს, ბატონმა ჰელსმა წარადგინა შემდეგი რეზოლუცია, რომელიც გადაეცა საგარეო ურთიერთობათა კომისიას.

რეზოლუცია

ვუძღვნით საქართველოში, თბილისში 1991 წლის 9 აპრილს საბჭოეთის მიერ ჩატარებული სადამსჯელო ოპერაციის 2 წლისთავს და მოვითხოვთ საბჭოთა კავშირისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წლის მარტის რეფერენდუმზე ლეგიტიმურობა.

ვინაიდან 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა წითელი არმიის ჯარისკაცები მხეცურად დაესხნენ თავს უიარაღო და მშვიდობიან დემონსტრანტებს ლენინის მოედანზე (ახლ. თავისუფლების მოედანი) თბილისში, საქართველოში გამოიყენეს რაკეტები, გალესილი ნიჩბები და საწამლავი გაზი და დახოცეს 20 უდანაშაულო დემონსტრანტი, დაასახიჩრეს რა ასობით ადამიანი.

ვინაიდან მიუხედავად მცდელობისა, დაეფარათ საბჭოეთის ჰისასტიკე, მსოფლიო ჰუმანიტარული ლიდერები, ისეთი როგორც დედა ტერეზა კალკუტიდან და საწამლავი გაზის მსხვერპლთა მკურნალობაზე სპეციალიზირებულ დასავლეთ გერმანული ექიმების ჯგუფი, ჩამოვიდნენ თბილისში დაშავებულთა დასახმარებლად.

ვინაიდან 9 აპრილის აქტის სისასტიკემ გამოიწვია საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსის გადანაწილება, რასაც შედეგად მოჰყვა კომუნისტური მმართველობის დასასრული საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით.

ვინაიდან საქართველომ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ცენტრალური საბჭოთა მთავრობის 17 მარტის რეფერენდუმში და საპასუხოდ 1991 წლის 31 მარტს ჩაატარა საკუთარი რეფერენდუმი, რომელშიც ამომრჩეველთა 98,9 პროცენტმა მხარი დაუჭირა საქართველოს ეროვნულ დამოუკიდებლობის აღდგენას, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ქართველი ერი უძველესი, განსაკუთრებული და ინდივიდუალური თვისებების მქონე ერია, რომელიც სათავეებს ქრისტეს შობამდე იღებს.

ვინაიდან დღეს 1991 წლის 9 აპრილს — თბილისში დემონსტრაციის დარბევის 2 წლისთავია, ვადგენთ, რომ სენატი:

1. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის მიერ მშვიდობიან მცდელობებსა და დემონსტრაციებში გამოხატულ მოთხოვნებს, ეროვნული და ტერიტორიული დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

2. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის თვითგამორკვევის მოთხოვნას, რომელიც ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობისათვის თათბირის მონაწილე ქვეყნების საბოლოო აქტიდან გამომდინარეობს, საბჭოთა კავშირი კი ამ ორგანიზაციის წევრია.

3. ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ქართველი ხალხის სურვილს, ისარგებლოს ღმერთის მიერ ნაბოძები ადამიანთა უფლებებით.

4. პატივს ვაგებთ ქართველთა დიდ მსხვერპლს, რომლებიც დაიღუპნენ 1989 წლის 9 აპრილს თბილისში, რამეთუ ისინი იყვნენ მშვიდობიანი დემონსტრანტები თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

5. და მოვითხოვთ საბჭოთა კავშირის მთავრობისაგან, აღიაროს ქართველი ხალხის ნება და სცნოს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის ლეგიტიმურობა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსაგან და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელი

მიხეილ (მიშა) შალვას ძე მესხი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში

შეიქმნა მიხეილ მესხის დამკრძალავი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ბ. გიგინეიშვილი (თავმჯდომარე), კ. ასათიანი (თავმჯდომარის მოადგილე), ნ. ახალკაცი, გ. ბერიძე, ვ. ბარქაია, გ. ჩეჩელაშვილი, ნ. გიფრიდაშვილი, ჯ. ზამბახიძე, ქ. სვანიძე, გ. ფანჯიკიძე, კ. მახარაძე, დ. ქლიბაძე.

დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მიხეილ მესხი დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაიბადა 1951 წელს ეკატერინა ბენდელიანი

დაიბადა 1951 წელს ლენტეხის რაიონის სოფელ ხელედში. 1968 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1968-1974 წლებში მუშაობდა სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციაში. 1979 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1986 წელს — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1980-1988 წლებში იყო სამტრედიის რაიონის პროკურატურის სტაჟიორ-გამომძიებელი, ზესტაფონის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი, ლენტეხის რაიონის პროკურორი.

1989-1990 წლებში მუშაობდა „საქსახალაქშენპროექტის" იურისკონსულტად, საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის კონსულტანტად, წამყვან სპეციალისტად.

1990 წლის ნოემბრიდან ეკატერინა ბენდელიანი იყო ხონის რაიონის პროკურორის თანაშემწე, ხოლო ამავე წლის დეკემბრიდან დღემდე მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო არბიტრად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

დადგენილება

ე. ვ. ბენდელიანის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ არჩევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნეს ეკატერინა შალვას ძე **ბენდელიანი** საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი.

თბილისი. 1991 წლის 23 აპრილი.

საკუთარ სახლში

„კახეთი საქართველოს ბურჯია“

ეს სიტყვები ეკუთვნის საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას და წარმოთქვა 20 აპრილს გამართულ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე. ეს იმის ნათელი დასტურია, თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი ვთმობა ამ რეგიონს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საზოგადოების წესდებაშიც და გამოსვლებშიც კარგად არის შეფასებული კახეთის როლი და მნიშვნელობა დამოუკიდებელი საქართველოს შემდგომ განვითარებაში, დიდი ინტერესით აღიქვეს დამსწრეთ პრეზიდენტის სიტყვა, რომელმაც საზოგადოება „კახეთს“ უმნიშვნელოვანესი ამოცანები დაუსახა. კერძოდ, მან საზოგადოების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა კომუნისტთა მმართველობის პერიოდში გაჩენაგებული მეურნეობის აღდგენა, უაღრესად მწვავე ეკოლოგიური, დემოგრაფიული საკითხების უსწრაფესად გადაწყვეტა, გამრჯე გლეხკაცისათვის ისეთი პირობების შექმნა, რომ კი არ ჩეხავდეს „შვილივით ნაზარდ“ ვაზს, არამედ, როგორც მამა-პაპით მოსდგამს, ისევ ელოლიავებოდეს და ხვავს და ბარაქას უქმნიდეს ოჯახსაც და მამულსაც. კახეთი, საქართველოს ბეღლად წოდებული, მევენახეობა-მეღვინეობის ცენტრია. ბუნებრივია, სახალხო მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ, რადგან იგი ჩვენი რესპუბლიკის ძლიერების წყაროა.

მიმართვა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს

ბატონო პრეზიდენტო, მოგმართავთ სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ დამფუძნებელი ყრილობის მონაწილენი.

კახეთი საქართველოს ერთ-ერთი კუთხეა, ისტორიულად მეურნეობრიობის ტრადიციული დარგებით განთქმული — აქაური ღვინოები, მარცვლეული თუ ბარეულში ბევრად განსაზღვრავდა საქართველოს ეკონომიკის ძლიერებას. მას შემდეგ, რაც ჯერ მეფის რუსეთმა 1801 წელს და შემდეგ საბჭოთა რუსეთმა 1921 წელს ძალის გამოყენებით გააუქმეს საქართველოს დამოუკიდებლობა და დაიპყრეს ის, ფაქტობრივად მოიშალა და წარიხოცა ამ კუთხის და მთლიანად საქართველოს ბევრი რელიგიური, ეროვნულ-კულტურული და სამეურნეო ტრადიცია. ჩვენი საზოგადოება ამ ტრადიციების აღდგენას ისახავს მიზნად. ეს კი მხოლოდ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირობებშია შესაძლებელი. ამ მიზნისათვის იბრძვიან დღეს მთელი საქართველო და აქ მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლები. სპასუხოდ „ცენტრმა“ ფაქტობრივად ომი გამოუცხადა საქართველოს, და უკვე არაერთგზის ნაცადი ხერხით — ძალის გამოყენებით ცდილობს ჩაახშოს ერის ბუნებრივი და კეთილშობილური სურვილი — იყოს თავისუფალი. მაშინ, როცა საქართველოსა და საბჭოთა კავშირს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირები ბევრად უფრო მომგებიანი იქნებოდა ორივე მხარისათვის, ვიდრე კოლონიურ პოლიტიკაზე დაფუძნებული, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსათვის სრულიად მიუღებელი, კაბალური დამოკიდებულება. უნდა დაეთანხმოთ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებას საბჭოთა კავშირისა და საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით გადავჭრათ ყველა პრობლემა.

ბატონო პრეზიდენტო, ახლადშექმნილი საზოგადოების წევრები მთლიანად ვუჭერთ მხარს საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას, მრგვალი მაგიდის პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიერ გამოცხადებულ ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას და გვწამს, რომ თქვენ, რომელსაც დიდი წვლილი მოგიძღვით დემოკრატიული პროცესებისა და ტოტალიტარული სისტემების ოდგვის პროცესის დაწყებაში, საბოლოოდ ხელს არ აიღებთ თქვენს პრინციპებზე და სწორად გაიგებთ ქართველი ერის სწრაფვას — აღადგინოს ისტორიული სამართლიანობა და დაიბრუნოს ძალით წართმეული დამოუკიდებლობა.

მიმართვა მიღებულია საზოგადოება „კახეთის“ დამფუძნებელ ყრილობაზე.

საქინფორმი.

საზოგადოება „კახეთის“ დამფუძნებელი ყრილობის მიმართვა სრულიად საქართველოს

გამოხატა რა ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლების ნება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, აირჩია საქართველოს პირველი პრეზიდენტი. ამით დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დამამთავრებელი ეტაპი, რომელმაც უნდა მოამზადოს პირობები ფაქტობრივი და სრული სუვერენიტეტის მოსაპოვებლად. მთავრდება ის 200-წლიანი კოლონიური ჩაგვრის ხანა, მეფის რუსეთმა 1801 წლის უსამართლო აქტით რომ მოგვახვია თავს.

ნებისმიერი გარდამავალი პერიოდი მეტად რთული ისტორიული პროცესია, რაც თავის მხრივ განპირობებულია ერთი თვისებრიობიდან მეორეში გადასვლით. ჩვენთან ამ ბუნებრივ სირთულეს კიდევ უფრო ამწვავებს საზოგადოებრივ-ეკონომიკური კრიზისი, რომელიც წარსულის უკუღმართმა ათწლეულებმა დაგვიტოვა მემკვიდრეობად. ამ კრიზისის დაძლევის საამედო საშუალებად კი საქართველოს ცალკეული კუთხეების მეურნეობრიობის ტრადიციული დარგების აღორძინება-განვითარებაზე დაფუძნებული ეროვნული ეკონომიკის შექმნა მიგვაჩნია. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრა განაპირობებს საერთო წარმატებას.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ცალკეული რეგიონები და მთლიანად საქართველოც მწარმოებელი ძალის გარეშე დარჩა. „ინდუსტრიული საქართველოს“ ბარი, ცხვარ-ძროხა და თვით ფაბრიკა-ქარხნების მნიშვნელოვანი ნაწილიც თანდათანობით უცხო ეთნოსის ხელში აღმოჩნდა. მწარმოებლიდან თანდათანობით, თითქმის მთლიანად, მომხმარებელ ერად ვიქეცით. ერის გადაშენება თუ გინდა, უწინარესად შრომას უნდა გადაარჩინო. ნაწილობრივ ეს კიდეც მოახერხეს ჩვენმა მტრებმა. მიწისაგან გაუცხოებამ, ქართული სოფლების დეპოპულაციამ კრიზისულ ზღვარს მიაღწია. ამ პროცესის შემდგომი განვითარება ეროვნული ტრაგედიის ტოლფასი იქნება. ჩვენი ხსნა მიწასთან ქართველის ორგანული მთლიანობის აღდგენაშია საძიებელი. სოფელ, იყო და უნდა დარჩეს ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბალავრის ქვად.

ვაარსებთ რა საზოგადოება „კახეთს“, მიზნად ვისახავთ ჩვენი წვლილი შევიტანოთ ეროვნული ეკონომიკის ფორმირების, ქართული ისტორიულ-კულტურული და რელიგიური ტრადიციების აღდგენის საშვილიშვილო საქმეში. ვერავითარი ქველმოქმედება ვერ შეცვლის მუდმივად განვითარებად სამეურნეო ფუნქციას — ეროვნული განვითარების ყველაზე მკვიდრ საძირკველს, ამიტომ ჩვენი ძირითადი სამოქმედო პროგრამა იქნება კახეთის ტრადიციული სამეურნეო დარგების — მევენახეობა-მეღვინეობის, მემარცვლეობის, მესაქონლეობისა და მეაბრეშუმეობის აღორძინება და ახალ ტექნოლოგიურ საფუძველზე განვითარება.

ამის განსახორციელებლად, ჩვენი აზრით, საჭიროა, ეროვნულმა პარლამენტმა, რომელმაც გარდამავალი პერიოდის არაერთი კარდინალური პოლიტიკური პრობლემის გადასაჭრელად უმნიშვნელოვანესი ნაბიჯები გადადგა, და რესპუბლიკის მთავრობამაც გარკვეული პრივილეგიები მიანიჭონ 70 წლის მანძილზე დაკნინებულ და ზოგჯერ მთლიანად გამქრალ მეურნეობრიობის ტრადიციულ დარგებს.

საზოგადოება „კახეთის“ პირველი, დამფუძნებელი ყრილობის მონაწილენი მთლიანად ვუჭერთ მხარს მრგვალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილ საგაფიცვო მოძრაობას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ჩვენთან არს ღმერთი.

მიმართვა მიღებულია საზოგადოება „კახეთის“ დამფუძნებელ ყრილობაზე.

საქინფორმი.

აქ წყნეთის ბავშვთა სახლია

სურათებზე: უწინარესად კარგი დიასახლისები უნდა ვიყოთ; მეცადინეობას მაინც თამაში სჯობს; მეოთხეკლასელები რუსულად შიკუნავი, ეკა ლორთქიფანიძე, გივი დუიაშვილი და ზაზა ფალელაშვილი ნამდვილი დეკორატორები არიან; განსაკუთრებით მოსწონთ პატარებს დამსახურებული მასწავლებელის ნაზი მამალაძის საუბარი, მით უფრო, როცა მათი გულისხმიერი ძიძა ეთერ გიორგაძეც იქვეა; შედარებით თამამები ხტუნვა-ხტუნვით მიდიან სკოლაში, მორცხვებისთვის კი აღმზრდელ ნენი ქორიძეს ჩაუკიდია ხელი; ხცენაზე ნორჩი მუსიკოსები არიან; აი, ასე უნდა დალიო, ამბობს აღმზრდელი მაია თვალიაშვილი; აქ კარგია, მაგრამ... იქნება დედა გამოჩნდეს...

თეიდო ნიკოლაიშვილის ტექსტი და ფოტო.

ტკივილი

ოღონდ ერთხელ დაენახვეთ

— **გამარჯობათ**, ბიჭებო!

— სალამი!

— აქ რას აკეთებთ?

— შარვლებს ვწმენდავთ!

— იცით, როგორ უნდა გაიწმინდოს შარვალი?

— მაგას რა უნდა!

საბავშვო სახლის ეზოში, ონკანთან შეკრებილან. პატარა ხელებს ცივი წყლით ისველებენ და შარვალზე ისვამენ.

აღმზრდელი მიახლოვდება: დირექტორი ამ წუთში იქნება, მანამდე კი, გნებავთ, ბავშვებს გაესაუბრეთო.

ვეკითხო მე მათ, ვიცი, რასაც მეტყვიან. ამიტომაც იყო, ჭიშკარში შესულმა ცოტა ოფიციალურად რომ დავიქირე თავი. მაგრამ ერთმა თმახუჭუჭა ბიჭმა მაინც მკითხა, ვისი დედა ხარო?

ვისი დედა ხარო...

სამტრედიის რაიონის სოფელ ეწრის საბავშვო სახლში 64 ბავშვი იზრდება. 1937 წელს გაიხსნა ეს. დაწესებულება... თავდაპირველად უპატრონო ბავშვთა სახლი ერქვა, მერე ობოლ და მშობლების მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი უწოდეს, სულ ბოლოს კი (ალბათ, მისი ბინადრები შეებრალთ) უბრალოდ ბავშვთა სახლი შეარქვეს.

ამ სახლმა, დღიდან დაარსებისა, ბევრი შვილი აღზარდა, ცხოვრების გზაზე გამოიყვანა. განსაკუთრებით ბევრი აღსაზრდელი ჰყავდა ომის წლებში — უამრავი ობოლი და უპატრონო ბავშვი ითხოვდა მაშინ სითბოსა და მზრუნველობას.

ამ „ოჯახს“ არასოდეს დაკლებია ჩემი კოლეგების, ჟურნალისტების ყურადღება, და არა მარტო ჩემი კოლეგებისა. ზოგმა მას „თბილი სახლი“ უწოდა, ზოგმა „მოლოდინის სახლი“. მოვლენ, გაესაუბრებიან ბავშვებს, მათ ტკივილებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოჰფენდნენ, ზოგ პრობლემასაც გადაუწყვეტენ... აკი ამიტომ მითხრა აღმზრდელმა — ბავშვებს გაესაუბრეთო.

მე კი ყოველთვის გავურბივარ ამ ბავშვებთან საუბარს. თუმცა ქალთა რაიონულ საბჭოსთან ერთად ხშირად ვყოფილვარ მათთან. დავსწრებივარ მათ კონცერტებს. ამ სახლის აღზრდილთა მშობლებმა რომ იცოდნენ, როგორ მლერიან პატარა ლაურა და ნათია დედაზე... მე, პირადად, როცა ზარივით წკრიალა ხმით ნამღერი „მებადეო, ნუ დამტოვებ მარტო, პატარა ვარ მოფფრება მინდა“ ჩამესმის, სუნთქვა შეკერება, მეტირება.

დირექტორს შეაგვიანდა და სტუმრობა მეორე დღისათვის გადავდე. დილის საათებში ამ ეზოში სიჩუმე ისადგურებს. მხოლოდ ორი გოგონა ვნახე.

— გამარჯობათ.

— სალამი.

— სკოლაში რატომ არა ხართ?

— კბილი მტკივა.

— მერე, ექიმთან რატომ არ მიდიხარ?

— აი, ახლა მრეცხავი გამოვა და წამყვება.

— ხომ არ გეშინია? კბილის ტკივილი მწარეა, მაგრამ ექიმთან როგორც მიხვალ, მაშინვე დაისვენებ. ვერც კი გაიგებ, როგორ ამოგიღებს.

საბავშვო სახლიდან ქალი გამოდის. ჩქარა, თორემ დაგვაგვიანდებაო, — ამბობს; თვითონ წინ მიდის, გოგონა მორჩილად მიჰყვება უკან.

მახსენდება:

სამტრედიის ქალთა საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, საკუთარი ხელით დამზადებული ნამცხვრები მიერთვათ ბავშვებისათვის. ვიდრე სუფრა გაიშლებოდა, კიდევ ერთხელ შემოვიარეთ ეს „თბილი სახლი“. სამი ბავშვი იზოლატორშია, ავად არიანო, გვითხრეს.

იზოლატორში ბავშვებს აღმზრდელი დასტრიალებდა თავს. სიცხით გათანგულთა თვალებში სევდა ჩასახლებულიყო. აღმზრდელი დედობას უწევდა ბავშვებს. დედა და დედის მაგიერი რომ ერთი არ არის, ხომ ვიცით! ჰოდა, ბავშვები როგორღა დავარწმუნოთ ამაში?

მახსოვს, იმ ღამეს გვიან დავბრუნდი შინ. ჩემს პატარა ბიჭუნას საბანი გადაეხადა. ფრთხილად ამოვუკეცე და ცრემლად დაეიღვარე.

საბავშვო სახლის აღსაზრდელებს ხშირად ეკითხებიან, ყველაზე მეტად ვინ გიყვართო.

— დირექტორი! — შეთანხმებულებივით ერთხმად უპასუხებენ. საბავშვო სახლის დირექტორი კარლო გოთოშია იმ სითბოსა და მზრუნველობისათვის უყვართ, რომელსაც უშურველად უნაწილებს ყმაწვილებს. ოლიმპიადაში მონაწილეობის ამბებს რომ მიყვებოდა, ერთმა აღსაზრდელმა მითხრა: შემცოდა, დირექტორმა კი თავისი სვიტერი გიიხადა და მე ჩამაცვა. დირექტორს და აღმზრდელებს ბავშვები თავიანთ სახლშიც ხშირად დაპყავთ.

ყმაწვილების სიყვარული უკვალოდ არ ქრება. აქედან წასული ბავშვები წერილებს უგზავნიან ავინ იცის, რა ბედი ელით პროფტექნიკური სასწავლებლის დარულების შემდეგ ჩვენს სახლში აღზრდილებს: სად უნდა იცხოვრონ, სად უნდა იმუშაონ. ამაზე არავინ ფიქრობს, თუმცა ნაირნაირი გადაწყვეტილებები და დადგენილებები იმდენია... იქნებ, მოგვეხერხებინა და ჩვენს რეგიონშიც გამოგვეყო საკარმიდამო ნაკვეთები, აგვეშენებინა სახლები. ვითომ ასე ძნელია? შეიძლება ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლებიც გაკეთდეს. ჩვენთან არის საამისო პირობები.

ყოველი ბავშვის ცხოვრება დრამაა, ტრაგედიაა. ვინ — პატიმრის შვილია, ვინ — განჭორწინებულის, ვინ — ობოლია, ვინ კიდევ ოჯახის ხელმოკლეობის გამო შემოხიზნული. არიან ბავშვები, რომლებსაც არავინ აკითხავს. ასეთები მეტწილად მარტოხელა დედების შვილები არიან, ისინი, ვისაც, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დედა უყვარს, მაგრამ არ იცნობს“. რაგინდ დიდი სიკეთე გაუკეთო შენ და რაგინდ დიდი დანაშაული მიუძღოდეს დედას მის წინაშე, შენ თავს მაინც ის ურჩევნია, მორჩა და გათავდა! ოღონდ ერთხელ დაენახოს, ოღონდ წერილი გამოუგზავნოს და, ყველაფერს აპატიებს...

რა გასაკვირია, ამ დიდ ოჯახს უამრავი საზრუნავი რომ ჰქონდეს. საბავშვო სახლს დამხმარე მეურნეობა აქვს. ღორებს ზრდიან, საქონელს უვლიან. რძეს, ძირითადად, აქედან იღებენ. ზაფხულობით ზოგი ბავშვი ოჯახს მიჰყავს, ზოგსაც ბანაკში გზავნიან. ამ დროს მიღებული რძიდან ყველი ამოჰყავთ ხოლმე და ბავშვებს ახვედრებენ. მეურნეობიდან ღებულობენ ბოსტნეულს და ხილს.

ქვეყანაში არსებულ კრიზისს საბავშვო სახლში რომ შეეღწია, რა გასაკვირია. ჰოდა, სად იშოვოს დირექტორმა ასე დეფიციტად ქცეული წინდები, მაისურები, საპონი, პროდუქტები? შეფერხებაა სურსათით მომარაგებაშიც. სახლდოსთვის გამოყოფილი თანხები ხშირად ვერ იხარჯება. ნუსხაში კი, ბავშვთა სახლისთვის რომაა შედგენილი, წარმოიდგინეთ, ხიზილალაც კია მოხსენიებული. როგორ გინდა იმართოლო თავი ბედით დაჩაგრული ბავშვების წინაშე?

ბავშვებს ყოველთვიურად ჯიბისფულად ორი მანეთი ეძლევათ. როცა სკოლის ბუფეტში ამ სოფლის ბავშვები საუზმობენ, საბავშვო სახლის აღსაზრდელები... გამოსავალი აქაც გამონახა დირექტორმა. კვებისათვის განკუთვნილი აუთვისებელი თანხა გაიღო და, ბავშვებს გული რომ არ დასწყვეტოდათ, სკოლაში მათი ჭამა-სმის საქმე მოაგვარა.

გაკვეთილების შემდეგ მხიარული ყიჟინ-ხიჟინით ივსება ხოლმე საბავშვო სახლის ეზო. ამ სახლის ბინადართ საკუთარი დაძმებივით უყვართ ერთმანეთი; დიდები პატარებზე ზრუნავენ, ეხმარებიან; მომდევნო დღისათვის ტანსაცმელს იმზადებენ, გაკვეთილებს სწავლობენ, თვითმოსახურებაა საბავშვო სახლში. ო, როგორ არ ჰგვანან საბავშვო სახლების აღსაზრდელები მყუდრო, ოჯახურ გარემოში გათამამებულ ნებიერა შვილებს.

ძნელია გულში დაიტიო იმდენი ტკივილი, საბავშვო სახლის ყოველ აღსაზრდელს რომ მოჰყოლია შინიდან. ამიტომ ინატრა ერთხელ ჩემთან საუბრისას კარლო გოთოშიამ: ნეტავ, ეს სახლი გაუქმდებოდესო. ამიტომ ნატრობენ ამ სახლის ბინადრები: ოღონდ ერთხელ გამოჩნდნენ, ოღონდ წერილი გამოგვიგზავნონ, ოღონდ სახლში წაგვიყვანონ და ყველაფერს ვაპატიებთო.

ძნელია საბავშვო სახლის ბინადრებთან ყოველივე ამაზე საუბარი. მაგრამ თუ ერთი მშობელი, ნათესავი ან ახლობელი მაინც ამ წერილს წაიკითხავს შემდეგ მიაკითხავს საბავშვო სახლს, დაეწყნარებინა, რომ ამაოდ არ დავშვრალვართ... და კიდევ ერთი რამ, ძვირფასო მკითხველებო: ამ წერილს საბავშვო სახლის აღსაზრდელებს ნუ წაიკითხებთ.

ზოია კალანდაძე.

გამოსმაურება

საბაზრო ურთიერთობის პირველ ეტაპზე...

ამიდენარე წლის 3 აპრილს „საქართველოს რესპუბლიკაში“ რუბრიკით „თვალსაზრისი“ დაიბეჭდა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ თ. ქავთარაძის სტატია: „აგრომომარაგება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“. სტატია ერთ-ერთი პირველია ქართულ პრესაში სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებზე, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით (ვგულისხმობთ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას). „მხოლოდ გონიერული ღონისძიებებით შეიძლება უზრუნველვყოთ სოფელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, როგორც დასაწყისში, ასევე, შემდგომ ეტაპზე“, ასე მთავრდება სტატია. ძირითადად ეეთანხმებით რა მოტანილი ფაქტებისა და რეკომენდაციების სისწორეს (რაც ქვემოთ მსჯელობისას გამოჩნდება), გვინდა შევეხოთ „აგრომომარაგების“ ორგანიზაციულ მხარეს სწორედ საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყის პერიოდში, ამ მიმართულებით პრაქტიკულად მიღწეულის ჩვენებით.

აუცილებლად ცალიერებს მოითხოვს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია. საჭიროა შეიქმნას ასოციაცია, მასში შემავალი ფირმებით, გაერთიანებებით, კოოპერაციული ორგანიზაციებით და სხვა ფართო ნომენკლატურის თუ სპეციალიზებული საბითუმო და საცალო ფილიალებით, მოძრავი-გადასაადგილებელი სარეალიზაციო ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

ასევე, საჭიროა ასოციაციაში შეიქმნას ან შემოვიდეს მცირე სიმძლავრის საწარმოები (ამ შემთხვევაში გამართლებულია მომარაგებასთან საწარმოების არსებობა), რათა აღგილობრივი რესურსებით დამზადდეს სამკრაგო ნაწილები და სხვა ტექნიკური ნაკეთობები მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურებისა-თვის, პირიოდულად შექმნილი დეფიციტის შესავსებად.

— გაერთიანება „საქსოფლმომარაგების“ ორ (გაჩინისა და ქუთაისის) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების რესპუბლიკურ ბაზაში გახსნილია მარკეტინგული პრინციპით მომუშავე უნნები. ისინი იძენენ რაიონების სახოგადოებრივ ორგანიზაციებში არასაჭირო ზედმეტ მატერიალურ საშუალებებს (ძირითადად გამოყენებულს, ტექსპლოატაციაში ნამყოფს) ურთიერთხელსაყრელ ფასებში, ცვლითისა და სასაქონლო სახის გათვალისწინებით. სისტემის ბაზებში ფუნქციონირებს საცალო ვაჭრობის მაღაზიები, რომლებიც მოიჯარეებზე და წვრილ გლეხურ მეურნეობებზე ყიდიან მატერიალურ ფასეულობას. უკვე ტრადიციად იქცა რესპუბლიკური გამოფენა-ბაზრობების ჩატარება. მარტო 1988-90 წწ ასეთ ბაზრობებზე გაიყიდა 2,0 მლნ. მანეთის სხვადასხვა სახის ტექნიკური საშუალებები. ბაზრობებზე თვალსაჩინო რეკლამირებამ, გასაყიდ ფასეულობასთან მყიდველის უშუალო კონტაქტის შესაძლებლობამ შექმნა იმის პირობები, რომ ერთი რეგიონისათვის არასაჭირო მატერიალური ფასეულობა შეეძინა სხვა რეგიონის ორგანიზაციებს.

— შევეცადეთ, შესაძლებლობის ფარგლებში, მატერიალურ ფასეულობათა ნომენკლატურის ნაწილი მოგვეხსნა ცენტრალიზებული დაგეგმვიდან და გადაგვეტანა დამამზადებელსა და მომხმარებელს შორის ურთიერთშეთანხმებით მოწოდებაზე, რა თქმა უნდა, მომხმარებელი ორგანიზაციების სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით. პირველ რიგში ეს შეეხო ქარხნების „საქსოფლმანქანისა“ და „აგრეგატის“ პროდუქციას, რომლის მოწოდება ნაწილობრივად, 1988 წლიდან, ხოლო უშუალოდ დაღეს ხელშეკრულებები, რაც მომავალში, ფონდების გამოყოფის დეცენტრალიზაციისას მათ უქმნის პირობებს ამ ქარხნებთან ურთიერთთანამშრომლობისათვის, პირდაპირი კავშირით რესურსების მისაღებად.

მომარაგებიდან წარმოების სფეროს გამიჯვნა, რაც ასე აუცილებელია სხვადასხვა დარგების მატერიალურად თანაბრად უზრუნველყოფად, პირველად მოხდა 1984 წლიდან, როდესაც ყოფილი საქსოფლწარმოების კომიტეტის მომარაგების ფუნქციის მქონე საწარმოები გაიყო ცალკე სარემონტო ორგანიზაციებად და ცალკე მომარაგების ბაზებად. ამის შედეგად ჩამოყალიბდა მომარაგების ერთიანი სამსახური თავისი გამოკვეთილი საქონელგამტარი ქსელით. შეიქმნა სპეციალიზებული რესპუბლიკური, სარაიონთაშორისო და საქონლის ფართო ნომენკლატურის მქონე რაიონული ბაზები. მოგვეცა შესაძლებლობა, რომ ტექნიკის პარკისა და შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობის მიხედვით დაგეგმაყოფილებინა უწყვეტის ორგანიზაციები.

ბაზებსმით უნდა აღინიშნოს, რომ რაც დღემდე გაკეთდა, სოფლის მეურნეობის მომარაგების სიმტკიცე ჯერ ინერგება მომარაგების პროგრესული ფორმები დამტვირთავი, დამხარისხებელი ტექნოლოგიური ხაზების უქონლობის გამო. ყოფილი „საქსახგარეშრეწეული“ მოჩვენებითმა პოპულიზურობამ, მომარაგების საკითხებისადმი ზერელე და არაკომპეტენტურმა მიდგომამ, რასაც აქ ადგილი ჰქონდა, მატერიალურ-ტექნიკური. მომარაგების დარგი შესამჩნევად დააკნინა. საკმარისია დავასახელოთ, რომ 1985 წლიდან არც ერთი მანეთი არ გამოყოფილა ახალი მომარაგების ბაზის ასაშენებლად, ხოლო არსებული ძირითადი საშუალებების გასაახლებლად ყოველწლიურად გამოიყოფოდა საჭირო თანხის მხოლოდ 10-15 პროცენტი.

„აგრომომარაგება საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, ამ სტატიის ავტორის შეხედულება, სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი „აგრომომარაგების“ ფუნქციონირების მაკოორდინირებელი ორგანოს შესახებ, შესაძლოა ემთხვეოდეს ჩვენს თვალსაზრისს, რომ აუცილებელია საბაზრო ურთიერთობის პირველ ეტაპზე „აგრომომარაგება“ დაუნაწილებელ სოფლის მეურნეობის უწყებასთან მჭიდრო კავშირში (სანამ პრივატიზაციის შედეგად შესამჩნევად არ შემცირდება საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წილი). ამის დამადასტურებელ მოგახსენებთ ზოგიერთ ფაქტორს:

მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებას, რეალური საჭიროების შესწავლის საქმეს. ამასთან, აგროტექნიკური მოთხოვნებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების ტექნოლოგიის დაცვა, შესაბამისი ტექნიკისა და ტექნოლოგიური მოწყობილობების შერჩევა და შეძენა დღეს უწყვეტრივ ინტერესებში შემოდის და კვალიფიცურად გადაწყდება სოფლის მეურნეობის ყველა დაინტერესებული სამსახურის მონაწილეობის შემთხვევაში.

როცა ირლვევა ე. წ. ვერტიკალური დაგეგმვა, ფონდების ცენტრალიზებულად გამოყოფა და ხდება ბაზრის ფორმირება, რესურსების შესაძენად გადამწყვეტი როლი ეკისრება მომხმარებელი ორგანიზაციების პირდაპირ კავშირზე გასვლას დამამზადებლებთან, ბარტერული წესით ხელშეკრულების დადებას. ე. ი. ახლო მომავალში და დღეის მდგომარეობითაც, აგროკომპლექსის ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სრული უზრუნველყოფა უნდა განეხილოთ, როგორც ამ ორგანიზაციებისა და „აგრომომარაგების“ ერთობლივი შეთანხმებული მოქმედება, რასაც აუცილებლად სჭირდება სისხლხორცეულად დაინტერესებული მაკოორდინებელი ორგანო.

საბაზრო ურთიერთობის პირობების მოსარგებად, სოფლის მომარაგების არსებული სტრუქტურის რეორგანიზაცია უნდა მოხდეს ამ მიმართულებით უკვე მიღწეულის გათვალისწინებით და მასზე დაყრდნობით. ასეთ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე შედარებით უმტკივნეულოდ, სეიროზული შეფერხებების გარეშე შეეძლებთ სასოფლო და გადამამუშავებელი მრეწველობის ორგანიზაციების, მოიჯარეებისა და გლეხური მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფას.

ზაურ კოდუა,

გაერთიანება „საქსოფლმომარაგების“ თავმჯდომარე, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დამსახურებული ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიცისტიკა

„ბორშჩაგოვსკის ფენომენი“

ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ წამოწყებულ საინფორმაციო ომში გარკვეულ მომენტამდე ახალწეული ჟურნალისტები ჭარბობდნენ, მაგრამ, უკანასკნელ ხანს, ბრძოლაში ვეტერანებიც ჩაებნენ, როგორც ჩანს, „უმაღლესმა მთავარსარდლობამ“ თავის ძირითად რეზერვს მიმართა. ერთ-ერთი ამ ვეტერანთაგან გახლავთ ალექსანდრ ბორშჩაგოვსკი — ავტორი „ლიტერატურნაია გაზეტას“ ა. წ. მე-12 ნომერში გამოქვეყნებული წერილისა „ზოგაის მახვილი“.

გამოგიტყდებით, „ზოგაის მახვილი“ ა. ბორშჩაგოვსკის პირველი ნაწარმოებია. რომელიც კი წავიკითხე; აქამდე მხოლოდ სახელი და გვარი მქონდა გაგონილი. არც ისაა დასამალი, რომ ამ სტატიის კითხვისას წამოჭრილმა ზოგიერთმა კითხვამ მეორე დღესვე ეროვნული ბიბლიოთეკის კარიბჭესთან მიმიყვანა. მთავარი, რაც ჩემთვისვე მინდოდა გამერკვია, ინტუიციის სფეროს უფრო განეკუთვნებოდა: მაინტერესებდა რითი აიხსნებოდა ბორშჩაგოვსკის ინტონაციის შემალული სიყალბე — იმ დათაფლული მფარველობითობით, ხანდაზმულ ადამიანს უმცროსებთან მიმართებისას რომ უჩნდება ხოლმე. თუ რაიმეთი გაცილებით უარესით — იმ არაგულწრფელობითა და ორპირობით, რომელიც ისედაც ძნელი დასამალია და განსაკუთრებით კი ადამიანისათვის, მწერლის სახიფათო ხელობა რომ აუარჩევია.

ამრიგად, „საჯარო“ ბიბლიოთეკის მკითხველებს შეეფეთხდი და ჩემი ვერსიების შესაფასებლად ყველაფერი ამ ვერსიათაგან სწორი წინასწარ არ ვიტყვი, მკითხველმა თვითონ განსაჯოს; ერთსა გთხოვთ მხოლოდ — ციტატების სიუზეისათვის ნუ დამძრახავთ; სამაგიეროდ ვეცადე აღგილი დამეზოგა ჟანრების (ბორშჩაგოვსკის პროზა და დრამატურგია უფუძღებოდ დამრჩა), პერიოდების (მხოლოდ რამდენიმე წლის ბიბლიოგრაფიას გადავხედე) და, რაც მთავარია, ეპითეტებისა და კომენტარების ხარჯზე.

შესაძლოა ზოგიერთს მკითხველთაგან ახსოვს ერთი, დროისაგან გაცვეთილი განსაზღვრა რეალიზმისა: „ტიპიური პერსონაჟები — ტიპიურ გარემოცვაში“. ეს ფორმულა გამახსენა ა. ბორშჩაგოვსკის ნარკვევების წიგნის („თავგანწირულთა გაშმაგებას...“; მოსკოვი; „პოლიტიზდატი“; 1965 წ. — შემდგომში ჩვენ მოვუბრუნდებით ამ წიგნს) ბოლოში დართულმა ბიოგრაფიულმა ცნობამ: „ალექსანდრ მიხეილის ძე ბორშჩაგოვსკი დაიბადა 1913 წლის 14 ოქტომბერს ქ. ბელაია ცერკოვში. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მექვაბედ ზაპოროჟიეს ორთქლმავალშემკეთებელ ქარხანაში, შემდეგ კვლავ სწავლობდა. როგორც უბადლიანტი და თეატრალური კრიტიკოსი ქვეყნდება 1933 წლიდან...“. რაღა თქმა უნდა — „კომუნისტ. პარტ. წევრი 1940 წლიდან“ და „მოგვითხრობს საბჭ. ადამიანის მორალურ სიმტკიცეზე, ვაჟკაცობაზე, მოვალეობისადმი ერთგულებაზე“. — ეს უკვე „მოკლე ლიტერატურული ენციკლოპედიიდან“ გახლავთ. (ტომი 1, გვ. 700).

მაშ ასე, ტიპიური პერსონაჟი თქვენს წინაა, მაგრამ რადგანაც ტიპიური გარემოებანი გვაკლია, ცოტაც მოითმინეთ და ვიდრე ექს-მემკვიბის კრიტიკული მახვილი ცოდვილ უკრაინულ მწერლებს დაეძგერება, ორ ენამწარე ისტორიკოსთან ერთად თვალი მიმოვაგლოთ მომავალი ბრძოლის ველს: „...საშიშროება გამოჩნდა იმ ახალგაზრდა პროზაიკოსებისა და პოეტების მხრიდან, რომელნიც ომის გამოცდილებით დაბრძენებულნი, სინამდვილის ახლებურად გააზრებისაკენ ისწრაფოდნენ. ახლებური გააზრებისაკენ ყოველგვარი სწრაფვა კი პარტიის თვალში უსაშინელესი კრამოლა იყო... სწორედ ამ საშიშროების წინააღმდეგ გამოვიდნენ პარტიული იდეოლოგები, რადგან მათ აქ სრულიად სამართლიანად დაინახეს საბჭოთა იდეოლოგიის ეროზიის და, აქედან გამომდინარე საბჭოთა რეჟიმის ძირის გამოთხრის ნიშნები. პარტია ფართოდ, მთელი ფრონტით გადავიდა იერიშზე. არც ერთი სფერო არ დაიწყნა. რომ დავიწყებოდა კიდეც, შეახსენებდნენ, ასეთებიც მოიძებნებოდნენ. შემოქმედების ყველა დარგში ნახავთ მნიშვნელოვან კატეგორიას უნიჭო ადამიანებისას, რომელნიც მზად არიან დაუყოვნებლივ განსაჯონ და დაგმონ სხვათა ნაწარმოებები. უსაზღვროა მათი ხიძღვლილი ყოველივესადმი, რაც კი მათი გაგების ფარგლებს აღემატება. ყოველ ამგვარ ცდას ისინი არა თუ პირად შეურაცხყოფად, მათი არსებობისათვის წარმოქმნილ საფრთხედ აღიქვამენ... აი სწორედ ეს ადამიანებია პარტიის მთავარი რეზერვი“. (იხ. გელერი, ალ. ნეკრიჩი — „უტოპია ხელისუფლების სათავეში“; საბჭოთა კავშირის ისტორია 1917 წლიდან ჩვენს დღეებამდე; ლონდონი, 1989 წ. გვ. 540-541).

სურათი „პარტიის მთავარი რეზერვით“ მე მგონი საკმაოდ ნათელია. მაგრამ მოდით, ნუ დავასწრებთ მოვლენებს და მხოლოდღა ცნობისწადილის გამო ვნახოთ, რას საქმიანობენ ტიპიური პერსონაჟები 40-იანი წლების მეორე ნახევრის ტიპიურ გარემოცვაში: ისინი ომობენ! დიახ, ნუ გაგიკვირდებათ, თუმცა ომისშემდგომი დროა, მაგრამ ქვეყანაში უამრავი მტერია. აი, მაგალითად, კიევში „ჟურნალმა „დნიპრომ“ 1947 წელს გამოაქვეყნა იური იანოვსკის რომანი „ცოცხალი წყალი“, რომელშიც ომისშემდგომი უკრაინული სოფლის მძიმე ყოფაა აღწერილი და აშკარადაა დარღვეული სოცრეალიზმის მოდარაჯეთა „გაგების დადგენილი ფარგლები“. ხომ უნდა მიეზღოს საკადრისი?!

„ცოცხალმა წყალმა“ ფაქტობრივად სიიოცხლე მოუსწრაფა მის ნიჭით აღსავსე ავტორს. იური იანოვსკი ისე გარდაიცვალა 1954 წელს, რომ თავისი რომანის ცალკე წიგნად გამოსვლასაც კი ვერ მოესწრო. მის წინააღმდეგ გაჩაღებულ კომპანიაში გეზის მიმცემი იყო „ლიტერატურნაია გაზეტა“ (რომლის რედაქტორი გახლდათ ერთ-ერთი მთავარი იმდროინდელი იდეოლოგი ვლ. ერმილოვი): „მკითხველებს ახსოვთ ი. იანოვსკის არაერთი წიგნი. ამ წიგნებში სიმართლე არც თუ იშვიათად მეზობლობდა ღრმა შეცდომებთან, ხოლო ნიჰილერება კნინდებოდა იდეური შეზღუდულობით, ზოგჯერ კი ნაციონალისტური იდეების დაუძლეველი ტვირთით... რატომ აღმოჩნდა დღეს ი. იანოვსკი კვლავ ძირს, ნისლიან ჭაობში, წელამდე ჭაობის ჟანგიან წყალში ჩაფლული?“ — განრისხებული კითხულობდა ერთ-ერთი კრიტიკული წერილის ავტორი. მისი სახელი თქვენ, რაღა თქმა „უდა, გამოიცანით. დიახ— ალექსანდრ . ბორშჩაგოვსკი — იმედისმომცემი კრიტიკოსი და პუბლიცისტი! ი. იანოვსკის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებები მხოლოდ ამით რომ ამოწურულიყო, შეიძლებოდა დღეს აღარც კი გაგვეხსენებინა — შესცოდა კაცმა ერთხელ და რაც იყო, იყო... მაგრამ იმავე წერილში ისეთ ამაზრზენ მტკიცებას წააწყდებით, რომელიც ორმოცდახუთი წლის შემდეგაც კი არ აძლევს ადამიანს უფლებას გულჩვილი პატრიარქის პობაში იდგეს და „ძე შეცთომილნი“ მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან ჭეშმარიტების მამისეულ ზღურბლთან მიაბრუნოს.

„ჰუმანიზმის აპოლოგეტი“ ბორშჩაგოვსკი ჯერ ხომ ჭიკანავს იანოვსკის — თავს ისულელებს და რომანში ვიღაც გაუბედურებული ხეიბრები გამოჰყავსო, — მერე დასძენს იქვე: „მზრუნველი პოლკოვნიკი კოვალიოვი, რომელსაც ავტორმა მოწყალედ აჩუქა ცალი ხელი, ფიქრობს თავის კოლმეურნეობაში სპეციალური ინტერნატი შექმნას იმ ინვალიდებისათვის, სახლში რომ აღარ გაეჩერებათ. რარიგ უხამსი და მახინჯი ფანტაზიაა?!“ („ლიტერატურნაია გაზეტა“; 8 ოქტ. 1947 წ.).

მართლაც როგორი შემგუებელი და ცინიკოსი უნდა იყოს კაცი, რომ ამ გაუბედურებულ და უმოწყალო ქვეყანაში არც თვითონ არ გაუწოდოს არავის მოწყალების ხელი და სხვასაც წაართვას თანალმობის უფლება.

ა. ბორშჩაგოვსკის კრიტიკული მახვილი კვლავ ერთ ულიანილ მწერალს — იური სმოლიჩს გადაჰვდა. სმოლიჩი თავის დროზე თვითონაც საკმაოდ აქტიურად იღებდა სოცრეალიზმის პოზიციებს, მაგრამ, ეტყობა რაღაც თვისებებით მაინც ბოლომდე ვერ დაკმაყოფილა ბორშჩაგოვსკის თვალსაზრისით აუცილებელი სტანდარტი. ა. ბორშჩაგოვსკი განიხილავს ი. სმოლიჩის რომანს „ჩვენ ერთად ვიბრძოდით“ და ასერიგად ახასიათებს მის მთავარ გმირს: „სტახურსკი—გამოგონილი, ბანუენებული ფიგურაა. იგი განსაკუთრებული ფიზიკურ. ... ერთობ არადამაჯერებლად ჟღერს). ქართველი კლასიკოსის მოთხრობა „ლიტერატურნაია გაზეტას“ ავტორს მხოლოდ იმიტომ დასჭირდა. წარსული თუ დღევანდელი საქართველოს რეალიების არმცოდნე ათასობით რუსულენოვანი მკითხველი დაარწმუნოს, რომ: „ზოგაის მახვილი...: წინდაუხედავადაა ამოღებული ძველთაძველი სკივრიდან“ და რომ „უზომოდ პატივმოყვარე პოლიტიკურმა მოღვაწემ ზვიად გამსახურდიამ“ მამამისს ჰუმანისტურ იდეალებს უღალატა.

გარდა ამ, „მახვილებიანი“ სიმბოლიკისა, ჭაღარასან პუბლიცისტს არგუმენტებად მოჰყავს ზვიად გამსახურდიას შეხედულებანი (ოღონდ უკვე ეროვნულ ენაზე), ისე, რომ, უკრაინელი პროზაიკოსი ისევ მადლობელიც უნდა ყოფილიყო, მხოლოდდა „ფაქტრადიციების ტყვეობაში“ რომ დარჩა..

გადის წლები... მსოფლიოს ბერ-უკარამის, ჭაღარიანელ „ჰუმანისტ“ ბორშჩაგოვსკის გულს ამჯერად უცნოელი ახალგაზრდობის ბედი აღელვებს: მათ თავზე ზომ „ბურჟუაზიული სამყაროს დამსჯელი მახვილი აღმართულია“ („მომავალი — მტერი“ — „ლიტერატურნაია გაზეტა“; 21 მაისი, 1969 წ.). როგორც ხედავთ, „მახვილი“ იმდენად საყვარელი მეტაფორაა ლეგენდისილი პუბლიცისტის ლიტერატურულ რეკვიზიტში, რომ მეკი ვერ ავიცდინე მისი ერთგვარი ზეგავლენა.

როგორც მოგახსენეთ, ბორშჩაგოვსკის „ჰუმანისტურ მგრძნობიარობას“ ერთობ ფართო დიაპაზონი აქვს: არ გეგონოთ, დაესვლეთ სამყაროში მხოლოდ ახალგაზრდობის ბედი აწუხებდეს; აი, მაგალითად, იმავ 1969 წელს რობერტ პენ უორენის ცნობილ რომანში „მეფის მთელი მხედრიონი“ მხოლოდ იმიტომ ჩაიხედა, რომ საბჭოთა მკითხველს სასწრაფოდ აუწყოს ამერიკული პოლიტიკური სისტემის მახეკიერების შესახებ. („სიცრუისა და სიკეთლის მხედრიონი“ — „ლიტერატურნაია გაზეტა“, 19 თებ., 1969 წ.).

მისივე ქვეყნის ტკივილი ამჯერადაც ასცდება ამ გულსა და ამ მზერას — არც პასტერნაკისა და სოლჟენიცინის დეენამ, არც დანიელისა და სინიავსკის გასამართლებამ, არც ანატოლი მარჩენკოს გადასახლებაში სიკვდილმა, არც ჯარების შეყვანამ ჩეხოსლოვაკიაში, არც ომმა ავღანეთში; და ბოლოს — არც თბილისმა — 1989 წელს. არც ბაქომ — 1990-ში, არც ვილნიუსმა და რიგამ — 1991-ში, — არაფერმა არ შეახსენა ა. ბორშჩაგოვსკის მისი მოწოდება ჰუმანისტისა. ეტყობა, ეს „სახიფათო“ თემები სხვებს, ჭეშმარიტ ჰუმანისტებსა და სამართლიანობისათვის მებრძოლებს გადაუოლიეს; მათ შორის ხელისუფალთაგან უმოწყალოდ დევნილ ქართველ დისიდენტს. მისი მომავალი გაღიზიანებული მიმართვის ადრესატს. როგორც ჩანს გაცილებით უფრო ადვილია. თავგანწირვაზე და ჰეროიზმზე წერა, ვიდრე თუნდაც მინიმალური ნოტკონფორმიზმის გამოჩენა. ისე ბორშჩაგოვსკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჰეროიზმზე ერთობ დამაჯერებლად წერს: „ლენინი ყოველთვის ლაპარაკობდა და წერდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის არნახულ ჰეროიზმზე, მასების გმირობასა და ენთუზიაზმზე, როგორც რევოლუციის გამარჯვების მთავარ მიზეზზე, როგორც ჩვენი მიღწევების უცილობელ წინაპირობაზე. ყოველივე ამით ლენინმა გააფართოვა ბრძოლის ცნება სახალხო გმირობის ცნებამდე და ამ ცნებამ კონკრეტულობის დაუკარგავად, ფილოსოფიური ჭეშმარიტების ძალა შეიძინა“ („გმირებისა და ლაჩრების შესახებ“ — წიგნში „თავგანწირულთა გაშმაგებას...“; გვ. 142).

ახლა, როდესაც ჩვენთვის უკვე ცნობილია ა. ბორშჩაგოვსკის ძირითადი პრინციპები და რამდენიმე ციტატა, ალბათ ადვილია ავიხსნათ, ამ ციტატებიდან ერთ-ერთ ადგილზე, ასეთ ეჭვებს ამ ციტატებიც ბოლოს ნაწარმოებ „ლიტერატურნაია გაზეტაში“, რათა ბოლოდგე ამოვიცნოთ ავტორის ჩანაფიქრი.

როგორც ზევით მოგახსენეთ, „ზოგაის მახვილი“ ლიტერატურული პარალელებზეა აგებული. კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებთა მკითხველს, ეჭვსგარეშეა ახსოვს მისი ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „ზოგაის მინდია“ (სხვათაშორის 1937 წელს დაწერილი), რომელშიც ეს მარადიული დიდი ჰუმანისტი შეძრწუნებით აკერდებოდა ბორშჩაგოვსკისათვის სათაყვანებელი რეჟიმის მიერ მოწყობილი სასაკლაოს და ადამიანებს მოუწოდებდა, როგორმე გაერღვიათ ურთიერთგადადგურების საბედისწერო რკალი. ნაწარმოებში ამ ვედრებას წარმოსთქვამდა მინდია — ნათელმხილველი ტრაგიკულად რომ ვერ შეუთავსა ერთმანეთს მოვალეობა და გულისწადილი, მაშინათვის მიცემული ფიცი რომ ვერ შეასრულა და მამისეული მახვილი რომ ვერ აღმართა... მამა და შვილი, ულმობელი ტრადიცია და ფაქიზი სული დაუპირისპირდნენ ერთმანეთს ამ ტრაგიკულ კოლიზიაში. არ ვიცი, რა საბაბით წერდა. ა. ბორშჩაგოვსკი „ზოგაის მინდიას“ შესახებ 1958 წელს, მაგრამ ამჯერად, ეჭვსგარეშეა; რომ მან ეს ნაწარმოები მხოლოდდამხოლოდ კონიუქტურული მიზეზებით გაიხსენა (მისი ფიცი: „ეს ასე არ არისო“. — ერთობ არადამაჯერებლად ჟღერს). ქართველი კლასიკოსის მოთხრობა „ლიტერატურნაია გაზეტას“ ავტორს მხოლოდ იმიტომ დასჭირდა. წარსული თუ დღევანდელი საქართველოს რეალიების არმცოდნე ათასობით რუსულენოვანი მკითხველი დაარწმუნოს, რომ: „ზოგაის მახვილი...: წინდაუხედავადაა ამოღებული ძველთაძველი სკივრიდან“ და რომ „უზომოდ პატივმოყვარე პოლიტიკურმა მოღვაწემ ზვიად გამსახურდიამ“ მამამისს ჰუმანისტურ იდეალებს უღალატა.

ბორშჩაგოვსკის „ჰუმანისტურ მგრძნობიარობას“ ერთობ ფართო დიაპაზონი აქვს: არ გეგონოთ, დასავლეთ სამყაროში მხოლოდ ახალგაზრდობის ბედი აწუხებდეს; აი, მაგალითად, იმავ 1969 წელს რობერტ პენ უორენის ცნობილ რომანში „მეფის მთელი მხედრიონი“ მხოლოდ იმიტომ ჩაიხედა, რომ საბჭოთა მკითხველს სასწრაფოდ აუწყოს ამერიკული პოლიტიკური სისტემის მახეკიერების შესახებ. („სიცრუისა და სიკეთლის მხედრიონი“ — „ლიტერატურნაია გაზეტა“, 19 თებ., 1969 წ.).

მისივე ქვეყნის ტკივილი ამჯერადაც ასცდება ამ გულსა და ამ მზერას — არც პასტერნაკისა და სოლჟენიცინის დეენამ, არც დამოუკიდებელი კავშირის გაფიცულ წევრთა გადაწყვეტილებით, რადგან საკავშირო დაქვემდებარების ქარხნები „ეშმაკმავთული“ და „ვიბრომანქანა“ ამზადებენ იმ იარაღსა და ხელყუმბარებს, რომლებითაც ოსი ეფსტრემისტები მშვიდობიან მოსახლეობას უსწორდებიან, ხოლო ე. წ. ბლოკადა ასევე სტიქიური პროტესტების — მძღოლთა, ვაჭრობისა მუშაკთა და ა. შ. გაფიცვის შედეგია და არა ხელისუფლთა გამიზნული პოლიტიკისა...“ („ვეჩერნიკა გრუზია“, 23 თებ., 1991 წ.).

რაღა უნდა მოიმიმქმედოს მეტი საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, რომლის ავტორიტეტმაც. ბოლოსდაბოლოს შეაწყვეტინა გაფიცება ენერგეტიკოსებს, ან უზენაესმა საბჭომ, რომელმაც საგანგებო ბრძანებულებით დაშალა ყველა არაფორმალური შეიარაღებული ფორმირებანი, ან რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც ამ უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი ეცდილობს აუცილებელი მინიმუმით უზრუნველყოს ცხინვალი და შიდა ქართლის სოფლები.

ისეთი მიკერძოებული კორესპონდენტიც კი, რომელიც ამას წინათ ყოველკვირეულმა „ნედელიამ“ მიაკვლია შიდა ქართლში, აღიარებს: „გაბოროტებული ოსი „ბოევიკები“, თავის თავს პატრიოტებს რომ უწოდებენ, არ ატარებენ ცხინვალში მანქანათა ქარავანებს მედიკამენტებით, სურსათით და თბილი ტანსაცმლით, რომლებიც თბილისიდანაა გამოგზავნილი. წელს საქართველოს წმიდელი ჯვრის საზოგადოება სამჯერ შეეცადა სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას დახმარებოდა ეროვნებისაგან განურჩევლად, მაგრამ ოს „პატრიოტებს“ არ სურთ ქართველთა დახმარება მიიღონ“. (ა. ანინი — „მძეულები“; „ნედელია“, № 12, 1991 წ.).

მეორე მოსკოველი ჟურნალისტი ვლადიმერ ვოინა სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „აი, როგორ მოქმედებს ორმაგი სტანდარტი: საბჭოთა კავშირს არ სურს დათმოს ოთხი პაწაწკინტელა კუნძული (რუკაზე ლუპით ვერ დაინახავ) ოკეანეში, კურილის კუნძულები, სადაც მხოლოდ მესაზღვრეები ცხოვრობენ და სეზონური მუშები თევზს აკონსერვებენ, საქართველოს კი წინადადებას აძლევენ დათმოს ტერიტორიის. ძირძველი, „შიდა“ ტერიტორიის მერვედი, სადაც თავშესაფარი პოვეს დამპყრობთა შემოსევებისაგან გამოქცეულმა ოსებმა არცთუ ისე შორეულ დროში — და ცხოვრობენ იმათ შთამომავლებთან, ვინც შეიკედლა ისინი... რა უფლებით?“ („ოსი რომ ვიყო...“ — „საქართველოს რესპუბლიკა“ 23 მარტი, 1991 წ.).

ჩვენ კარგად გვესმის რა საფასურს მოითხოვს კრემლი საქართველოში, კერძოდ შიდა ქართლში ეთნიკური სიმშვიდისათვის — ეს კაბალური სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერა გახლავთ. ყოველივე, რაც ახლა ოსურ რაიონებში ხდება, სამაჩაბლოში სამხედროთა დამატებითი კონტიგენტის შეყვანის ჩათვლით, წინასწარ შეგვეძლო გვევარაუდა. ისიც უნდა ითქვას, რომ შიდა ქართლში ძირითადად პოლიტიკური (და არა ეთნიკური) კონფლიქტის ერთ-ერთ მომასწავებელი „ქარაშხალა“ სწორედ ა. ბორშჩაგოვსკის სტატია იყო. მან, როგორც სამხედრო-საზღვაო თემატიკის სპეციალისტმა, უთუოდ კარგად იცის როდის ამოქმედდებიან ხოლმე „მთავარი კალიბრის“ ქვემეზები, საზოგადოებრივობის თვალში როგორი სამომავლო აქციების გასამართლებლადაა საჭირო პროპაგანდის მრავალნაკადი ოსტატების დარაზმვა.

ა. ბორშჩაგოვსკის ზემოთციტირებულ წიგნში ერთგან ზნეობაზეა ლაპარაკი წამოწყებული: „წარსული თუ საკუთარი გამოცდილებიდან ჩვენ ვიცით, რომ „ზნეობრივი გრძნობა“ ადამიანისა, როგორც საზოგადოებრივი ცხოველის, მისი სინდისი, სამართლიანობისა და მოვალეობის გრძნობა, ისტორიულნი არიან, დამოკიდებულნი არიან საზოგადოებრივ პრინციპებზე და იდეალებზე, მუდიდრად ორიან დაკავშირებულნი კლასობრივ ბრძოლასთან და იმ ადგილთან, რომელიც ადამიანს ამ ბრძოლაში უკავია“. („თავგანწირულთა გაშმაგებას...“, გვ. 145).

ახლა კი, პატივცემული კოლეგა, გთხოვთ გვერდზე გადასდოთ „ზოგაის მინდია“, ხელში აიღოთ თქვენი ნარკვევების წიგნი, გადაშალოთ მითითებულ გვერდზე და თქვენსავე თავს გულახდილად უთხრათ: „რისგან არის დამოკიდებული ამჯერად თქვენი „ზნეობრივი გრძნობა“ და „რა ადგილი გიკავიათ თქვენ ამ ბრძოლაში“?.

თუკი თქვენ გეყოთ გაბედულება თქვენს მიერ თავის დროზე „ბაბაბრუებული „ავადმყოფური თვითთანალიზისათვის“, მაშინ, ალბათ, თქვენი პასუხი ამავე დროს „ბორშჩაგოვსკის ფენომენის“ ახსნაც იქნება და თავისებური ავტოპორტრეტიც ყველა დროსა და ხელისუფლებას მორგებული, მორიგ ნიღაბს ამოფარებული, ლიტერატურული ცეხის სვეტედნიერი ოსტატისა.

ზაზა აბზიანიძე

7 აპრილი, 1991 წ.

მინაწერი: ამ წერილს უცვლელი სახით ვაქვეყნებ. სხვათაშორის იმიტომაც, რომ ქართველ მკითხველს ზუსტი წარმოდგენა ჰქონდეს იმ ტექსტზე რომლის რუსული ვარიანტიც „ვეჩერნაია გრუზიაში ამ დღეებში გამოქვეყნებული, „ლიტერატურნაია გაზეტას“ აქაურმა კორესპონდენტმა ჩემი სტატიის ძირითად ადრესატსაც გაუგზავნა და რედაქციასაც. არა მგონია, რომ „ლიტერატურნაია გაზეტამ“ ეს წერილი გამოაქვეყნოს, მაგრამ, საზოგადოდ, მოსკოვში თუ გამოქვეყნდა, ვფიქრობ, იმითაც იქნება კარგი, რომ იქაურ აუდიტორიას დაანახვებს — რა „რაინდებიც“ ჰყავთ, ხოლო ბორშჩაგოვსკის მიმდევრებს. კი ცოტას ჩაფიქრებს, ვიდრე კალამს წაავლებდნენ ხელს მორიგი დავალების შესასრულებლად.

ზ. ა.

„ვაშინგტონ პოსტი“ ნიქსონის ვიზიტის შესახებ

გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ დაბეჭდა საბჭოთა კავშირის სპეციალისტისა და ანალიტიკოსის დიმიტრი საიმსის სტატია, რომელიც ეძღვნება ყოფილი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის ვიზიტს საბჭოთა კავშირში.

პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ნიქსონთან ახლახან გამართულ შეხვედრაზე სცადა დაერწმუნებინა ყოფილი პრეზიდენტი, რომ ამერიკელებს ჯერ კიდევ საქმე აქვთ ძველ გორბაჩოვთან. მაგრამ ნიქსონი ამაში ვერ დარწმუნდა, წერს დიმიტრი საიმსი. ბატონი ნიქსონის სკეპტიციზმი არ მომდინარეობს უპატიოსნებიდან. პირიქით, იგი საბჭოთა ლიდერს ჯერ კიდევ თვლის მსოფლიოს ერთ-ერთ აღიარებულ სახელმწიფო მოღვაწედ, მაგრამ ფრიად დაეჭვდა, უნარი შესწევს თუ არა კონტროლი გაუწიოს მოვლენებს. ამ მოგზაურობის დროს ბატონ ნიქსონს საშუალება მიეცა კონტაქტები დაემყარებინა სხვადასხვა პირებთან, „სუკის“ თავმჯდომარით ვლადიმერ კრუჩკოვით დაწყებული და შინაგან საქმეთა მინისტრ ბორის პუგოთი დამთავრებული, ლიტვის პრეზიდენტ ვოტაუტას ლანდსბერგისით დაწყებული და რუსეთის ლიდერ ბორის ელცინით დამთავრებული. ყოფილი პრეზიდენტი შეხვდა საქართველოს ძლიერი ნებისყოფის პიროვნებას ზვიად გამსახურდიას. ბატონი ნიქსონის თანმხლებმა პირებმა ფრიად განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მიიღეს და გაერკვნენ კრემლის შიგნით მიმდინარე ინტრიგებში. თქვენ საქმე გაქვთ იმავე გორბაჩოვთან, რომელმაც წამოიწყო გარდაქმნა, განაცხადა ვიცე-პრეზიდენტმა გენადი იანაევმა. პრეზიდენტის უმშიროების საბჭოს ერთ-ერთი წევრი ევგენი პრიმაკოვი უფრო ზუსტი იყო. მან თქვა: ჩვენ გვაყვს იგივე გორბაჩოვი. და თუ მე დავრწმუნდები იმაში, რომ მან მიატოვა რეფორმები, მე აქ ერთ დღესაც არ გავჩერდები. ასეთი შეხედულებები დაადასტურეს პრეზიდენტის საბჭოს ყოფილმა წევრმა ალექსანდრე იაკოვლევმა და ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ.

გორბაჩოვი, რომელიც თავის თავს რევოლუციონერს უწოდებს, სინამდვილეში დღეს დახასიათებულია როგორც ცენტრისტი. ნიქსონი დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირი მიემართება ქაოსური მდგომარეობისაკენ, რომელმაც შესაძლოა დიქტატურა შვას. როგორც ჩანს, გორბაჩოვის ახალი ცენტრიზმი მოკლებულია გრძელვადიან სარეფორმო პროგრამას და უფრო ემოციური ხასიათისაა. გორბაჩოვი ქაღალდს სტაბილიზაციას, მაგრამ რა მიზნით? ამ კითხვას ვერ უპასუხეს გორბაჩოვის მრჩეველებმა, პირიქით, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მათ მხოლოდ მიმდინარე მომენტი აინტერესებთ.

შევარდნაძემ და იაკოვლევმა დაკარგეს ქვეყნის პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. მათი შემცვლელები როგორიც არიან ვენადი იანაევი და საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ბესმერტნიხი, კომპეტენტური პიროვნებანი არიან, მაგრამ აკლიათ კონსერვატორებთან პოლიტიკური მიდგომის უნარი.

კონსერვატორები უკმაყოფილონი არიან გორბაჩოვისა. თავდაცვის მინისტრმა დიმიტრი იაზოვმა ნიქსონს განუცხადა, ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის მიმართ ცალმხრივი იყოო. „სუკის“ თავმჯდომარე კრიუჩკოვი კიდევ უფრო გულადილი იყო, როდესაც საეჭვო გახადა საბჭოთა კავშირის დათმობები გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით. ამავე დროს კრიუჩკოვმა ურჩია ბატონ ნიქსონს მეტი ყურადღება მიაპყრონ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ანატოლი লুკიანოვს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გორბაჩოვის პროტეჟე იყო. ისინი ერთად სწავლობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტში, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლა ნაწილობრივ ჩამოსცილდა საბჭოთა ლიდერს. კრიუჩკოვმა თქვა, თუ ასეთი ვითარება გაგრძელდა შესაძლოა লুკიანოვმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოსო გორბაჩოვის გადაყენებაში. გორბაჩოვს მთავრობის საქმიანობა ზოგჯერ შემაკბენებელია, ხაზს უსვამს საიმსი. იგი კვლავ დაუპირისპირდა საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას. ბატონმა ნიქსონმა თქვა, რომ ზვიად გამსახურდიამ გამოამჟღავნა და ცნო თანდათანობითი მიდგომის სიბრძნე საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის; სამხრეთ ოსეთში დამატებითი ჯარების გაგზავნისა და მოსკოვის მუქარის მიუხედავად, ბატონმა გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა.

გორბაჩოვის პოლიტიკამ ასევთვე მარცხი განიცადა ბალტიისპირეთშიც.

ბატონმა ნიქსონმა ამ მოგზაურობიდან გამოიტანა საბოლოო დასკვნა, რომ დადგა დრო შეერთებულმა შტატებმა უფრო ფართო ურთიერთობა ღიამყაროს საბჭოთა რესპუბლიკებთან და მათ შორის ელცინის რუსეთის მთავრობასთან.

ბუში შეხვდა ნიქსონს

შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თეთრ სახლში შეხვდა ყოფილ პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს. შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. მას ესწრებოდნენ ვიცე-პრეზიდენტი კუეილი, თავდაცვის მინისტრი ჩეინი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკოუკროფტი, თეთრი სახლის თანამშრომელთა აპარატის ხელმძღვანელი სუნუნუ და სახელმწიფო მდივნის პირველი მოადგილე იგლბერგერი.

საუბარი შეეხებოდა ყოფილი პრეზიდენტის მოსკოვში უკანასკნელი ვიზიტის შედეგებს. შეგახსენებთ, რომ ნიქსონმა ცოტა ხნის წინათ იმოგზაურა საქართველოში და გაეცნო ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს, შეხვდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას.

„სოიუზი“ კომენდანტის საათის შემოღებას მოითხოვს

გუშინ საბჭოთა კავშირის პრემიერმა პავლოვმა მინისტრთა კაბინეტში განიხილა ე. წ. კრიზისსაწინააღმდეგო პროგრამა. მასზე სახალხო დეპუტატთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც „სოიუზის“ სახელით არის ცნობილი, წარადგინა პროგრამა, რომელიც მრავლისმეტყველია.

„სოიუზის“ თავკაცმა იური ბლოხინმა მთელი ქვეყნის მასშტაბით კომენდანტის საათის შემოღება, გორბაჩოვის გადაყენება და პრესისადმი კონტროლის დაწესება მოითხოვა. ბლოხინმა აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებას თავად ჩაუდგება სათავეში. მისი აზრით, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება საჭირო არ არის, რადგან 1922 წლის ხელშეკრულება ჯერ კიდევ ძალაშიაო.

ამერიკული ჟურნალის „ტაიმის“ აზრით მიმდინარე კვირა პრეზიდენტ გორბაჩოვისათვის შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს, რადგან მას მოუწევს სამი მძიმე მომენტის გადატანა. ესენია პარტიის CK-ის პლენუმი, უზენაესი საბჭოს სესიაზე ანტიკრიზისული პროგრამის განხილვა და მოკავშირე რესპუბლიკების ხელმძღვანელებთან საკავშირო ხელშეკრულების დადების შესახებ საუბარი. ჟურნალის აზრით ამ დროს შესაძლებელია მოხდეს მისი გადადგომაც. ასახელებენ მის შესაძლო მემკვიდრეებსაც, ესენია იანაევი და ივაშკო.

შეერთებული შტატების ვიცე პრეზიდენტმა დენ კუეილმა ტელეკომპანია ენ-ბი-სი-სათვის მიცემულ ინტერვიუში მხარი დაუჭირა სადამ ჰუ

ქალთა პროკლამაცია

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის პირველი დღიდანვე (დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები, დახვრეტები, ეკლესიებისა და ისტორიული ძეგლების ნგრევა, საქართველოს საისტორიო საბუთების წართმევა.

ამა ყოველს ქართველი ხალხი შეხვდა მძაფრი პროტესტით, ქართველ პატრიოტ ვაჟკაცებს არ ჩამორჩენენ პატრიოტი ქართველი მანდილოსანნი. ისინი მონაწილეობას ღებულობდნენ გამოსვლებში და აწყობდნენ ქალთა დემონსტრაციებს. მათ თავი გამოიჩინეს 1922-23 წლებშიც, როცა დაიპირეს და სიცოცხლეს გამოახალმეს საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი „სამხედრო ცენტრის“ დიდი ჯგუფის წევრები (აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წელს უნდა დაწყებულიყო ის აჯანყება, რომელიც მოთავეთა დახვრეტის გამო 1924 წლისათვის გადაიდო). ქალები დღითა და ღამით არ სცილდებოდნენ ციხის კარებს, სხვადასხვა გზით აწვდიდნენ ტუსაღებს ბარათებსა და ამანათებს, ამხნევებდნენ მათ თავიანთი თანადგომით და პროტესტს უცხადებდნენ ხელისუფლებას. აქვე ვიტყოდით: ქართველ ქალს მუდამ მოსავდა მეომრული თვისებები. ისტორიამ ქართველი ერისა უწყის ამის არაერთი მაგალითი. ამ ჯიშისა და მოდგმის დიაცნი მრავლად იყვნენ და არიან კიდეც ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა რიგებში. სწორედ მათი დიდი დახმარებით, მამაკაცებთან ერთად, ლირსეულად ედგა მხარში ქართული ეროვნული მოძრაობის წინამძღვარს, ზვიად გამსახურდიას. ასეთმა ქალებმა ისახელეს თავი და გმირულად დაიღუპნენ ცხრა აპრილს, ჩვენი ქვეყნისათვის ამ დიდად ტრაგიკულ დღეს.

ვაქვეყნებთ უნიკალურ დოკუმენტს, ქალთა პროკლამაციას. ამ შინაარსის ფურცლებს ქალები ავრცელებდნენ თბილისის მოსახლეობაში და აკრავდნენ საქართველოს დედაქალაქის ქუჩებში. მიუხედავად იმისა, რომ ამისათვის მათ სიკვდილით დასჯა მოელოდათ.

ხელნაწერი აღმოჩნდა „სამხედრო ჯგუფის ცენტრის“ წევრის, 1923 წელს დახვრეტილი პატრიოტის, სამხედრო პირის, როსტომ მუსხელიშვილის პირად არქივში, რომლის ოჯახმაც გადმოსცა იგი არჩილ ჯორჯაძის საზოგადოებას.

ედიშერ გიორგაძე,
არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების თავმჯდომარე.

პატრიოტების დასოცვა

მოკაკლაკეენო!

ქართველი ერის ჯალათებმა, მისმა სისხლის მსმელებმა, საქართველოს ოკუპანტებმა ერთხელ კიდევ შეიღებეს ხელები ქართველი ერის სისხლით.

მესამე წელიწადია მოღალატეების ლახვარით სისხლიდან იცლება ქართული ეროვნული სხეული, მაგრამ 20 მაისის აქტმა ყოველივე სიმხეცეს და ვერაგობას გადააჭარბა.

ხიშტით გაბატონებულმა ავაზაკებმა 20 მაისს დახვრიტეს ქართველი მხედრების ბელადები, საქართველოს შეიარაღებული ძალის სულისჩამდგმელნი, ქართველი მხედრობის თავი და ტვინი.

გაუსამართლებლად, განუკითხავად, ბარბაროსულად მოჰგლიჯეს ერს თავდადებულნი დიდნი პატრიოტნი.

პატრიოტნი ვერ შეურიგდნენ დამპყრობელთ. მათ ვერ უღალატეს მშობელ ერს, ვერ გაჰყიდეს ის; საქართველოს თავისუფლება მათთვის ზატი იყო, რომლის წინაშე ასინი ყოველ ჟამს ლოცულობდნენ და რომელსაც ყოველივე ჩვენგანი შენატრის.

და ამისათვის დახვრიტეს ისინი რუსეთის შოვინისტების სატრაპებმა მოგილევსკი-პახკრატოვმა და საქართველოს გამყიდველმა ორჯონიკიძე-ორახელაშვილმა, ელიავამ. რუსეთის სადღეგრძელად და საქართველოს შესამსურავად თავიანთი ბინძური ხელით მოსპეს ქართველი მხედრობის სიამაყენი და ქართველი ერის საუკეთესო შვილები.

ჯალათები მხოლოდ მამულიშვილთა დახვრეტის შემდეგ აქვეყნებენ ეგრეთწოდებულ „დოკუმენტ-

კოტე აბხაზი

ურ ცნობებს“ და „დატუსაღებულთა ჩვენებებს“.

არამზადები წამებულთა ცხედრებსაც თავიანთი სისხლიანი და განწირული დიქტატურის შესანარჩუნებლად იყენებენ, რომ თვალი აუბნიონ ქართველ ერს.

ვინ გინდათ უნამუსოდ მოატყუოთ?

თუკი „დოკუმენტური ცნობები“ და „დატუსაღებულთა ჩვენებები“ ჭეშმდათ ჯალათებსა და დემაგოგებს, მაშ რად არ გადაეცა საქმე საჯარო სასამართლოს? რად არიჩეს სინათლეს სიბნელე, წყვდიადი და სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხი „ჩეკას“ ოთხ კედელს შუა ქურდულად გაარჩიეს? გადაწყვეტეს და სისრულეში მოიყვანეს. ვინ დაიჯერებს, რომ რუსეთის ოკუპანტებს ხელში ჰქონდათ „დოკუმენტური ცნობები“ და არკი ისარგებლეს. ქურდი სიბნელეს ეძებს, ავაზაკი კარჩაკეტილობას — ქურდობისა და ძარცვისათვის. ოკუპანტებმაც მოპარეს ერს სამართალი და პატრიოტებს ავაზაკურად წაგლიჯეს სიცოცხლე.

ვერაგებმა იციან, რომ მათი მსხვერპლნი საფლავებიდან ვერ გასცემენ მათ პასუხს, მაგრამ მათ მაგიერ აი ჩვენი პასუხი:

სასამართლოში გამოაშკარავდება თქვენი სიშავე და მათი სინათლე. ამიტომაც აერიდენით თქვენ მართლმსაჯულებას, ამიტომაც გეშინოდათ და უფრთხოდით ცბიერნო და ვერაგნო სამართლეს. თქვენ, სისხლი გწყუროდათ და კიდეც დალიეთ. თქვენ სიმართლე არ გაინტერესებდათ. მაგრამ ეს კი უნდა უწყოდეთ, ერის მოღალატენო, რომ რა. ბარბაროსულ ზომებსაც უნდა მიმართოთო, ქართველი ერი დღედაღამ ფიქრობს წართმეული თავისუფლების დაბრუნებაზე, და

ელიზბარ გულისაშვილი

უთვალთვალებს იმ დროს, როდესაც თქვენ აღსასრულის ზარი დაჰკრავს. დაჰკრავს კი, რადგან ასეთია ყველგან და ყოველთვის დესპოტიზმის ბედი.

დადგება დრო, როდესაც ქართველი ერის სისხლი, რომელსაც თქვენ ეხლა სვამთ, დაგართობთ და დაგაბრჩობთ...

ასე იყო, ასე იქნება.

ქართველმა ერმა და განათლებულმა კაცობრიობამ უნდა იცოდეთ, თუ რუსეთის აგენტებმა რა ხალხი წაართვეს ქართველობას:

კოტე აბხაზი. ვინ არ იცნობს ამ სპეტაკ პიროვნებას. მცოდნე, ქკვიანი, ღიმენი, სამშობლოსათვის თავდადებული დიდი პოლიტიკური მოღვაწე. ეს ის კოტე აბხაზია. რომლის პირით საქართველოს თავდაზნაურობამ ქართველ ერს გადასცა მთელი თავისი ავლადიდება, რომელსაც დღეს მოსკოვი დაპატრონებია.

უკანასკნელად ის მესვეურობდა საქართველოს გაერთიანებულ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. უმაღლესი სამხედრო სწავლით აღჭურვილი, დიდი ნიჭით და მამაცობით დაჯილდოებული, უანგარო და პატიოსნებით აღსავსე პიროვნება. ეს ის ანდრონიკაშვილია, რომელიც ჩვენი მამაცი იუნკერებით ებრძოდა რუსებს ოკრის მიდამოებში. იქ დალუპულმა ახალ-

როსტომ მუსხელიშვილი

გაზრდობამ უანდერძა მას საქართველოსათვის ბრძოლა და ეს ანდერძი მან შეასრულა.

ვარდენ წულუკიძე. ეს მამაცობის, -მხნეობის, სიდინჯის, გონიერების, პატიოსნების და ნამდვილი ქართველობის განზორციელება. უნდა პირადად იცნობდეთ ამ ბრწყინვალე პიროვნებას, რომ გაოცდეთ, რომელი ჯალათი არ შეერყა, როდესაც მახვილი აღმართა მისი ღვთაებრივი სახის და თეთრი წვერების მოსაკვეთად.

როსტომ მუსხელიშვილი. ქართველი მხედრობის ერთი ბელადთაგანი, საქართველოს თავისუფლებისათვის უმაგალითო მუშაკი, ნამდვილი ქართული სულის მატარებელი, სამშობლოსათვის უსაზღვროდ თავგანწირული, შეუფუველი ამხანაგი, მცოდნე, დიდი ენერგიისა და ბუნების პატრონი, ძნელ ვაქაცი.

გოგი ხიმშიაშვილი, ქართველი მხედრობის ერთი გმირთაგანი, ახალგაზრდა, მამაცი მებრძოლი, სამშობლოსათვის თავდადებული, დამპყრობლების შეურიგებელი მტერი.

სიმონიკა მუხრანსკი, ფარნაოზ ყარალაშვილი, ალექსანდრე მაჟაგარიანი, ელიზბარ გულისაშვილი, ლევან კლიმიაშვილი, დიმიტრი ჩრდილელი, ქართველი მხედრობის ნაღები, შეუპოვარი თავდადებული ქართველნი.

ნიკოლოზ ზანდუკელი. ჩუმი, მუყაითი, საქართველოს თავისუფლებისათვის ერთგული მუშაკი.

ჯალათებმა არც ავადმყოფი ივანე ქუთათელაძე (ბეთალი) დაინდეს. იმიტომ, რომ ის ქართველი იყო და ქართულ საქმეს აკეთებდა და სხვა უდანაშაულოებთან ერთად იგიც მოჰკლეს.

გოგი ხიმშიაშვილი

აი, ამ თავდადებულთ ეძახის რუსული „ჩეკა“ „ბანდიტებს“. თქვენ, ორჯონიკიძე-ორახელაშვილებო, პანკრატოვებს მოსყიდულო აგენტებო, პოლიტიკურო ბანდიტებო, თქვენ წაართვით ქართველ ერს კეთილშობილნი ადამიანნი, თქვენ, დაცემულნო, საქართველოს წაართვით ეროვნული სინდისის მატარებელნი. თქვენ, ავაზაკნო, მოჰკალით სამშობლოს მოამაგენი. საჯიჯგნად მიეცით ისინი ნაძირალებს. მოსპეთ, მაგრამ ნუთუ გგონიათ მიზანს მიაღწიეთ, ერს წელში გასტეხთ, მოთხრით და რუსის ხიშტების წინაშე დაარჩქებთ? თქვენი ჯალათობა მრავალ უბედურების მხანელ ქართველ ხალხში იწვევს არა შიშს, არამედ ზიზღს; არა გატეხვას, არამედ მეტ ენერგიას; არა დაბნევას, არამედ გარკვეულ გეზის აღებას; არა იარაღის დაყრას, არამედ ახალი ძალების მოკრეფას, დღეს მთელი ქართველი ერი ერთი მუჭა მოღალატე კომუნისტების გამოკლებით, მთელი ქართველი მხედრობა წყაველა-კრულვით იხსენიებს საქართველოს ოკუპანტებს და მათ აგენტებს და მუხლს იდრეკს დიდებული პატრიოტების საფლავების წინაშე.

დიდება დახვრეტილ ქართველ პატრიოტებს!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ჟოლეგები

უოველთვიური ჟურნალი ოჯახისთვის
ანუ
ჟურნალი ყველასთვის
ბაია

ბავშვის მოვლა და აღზრდა, ორსულობის პრობლემები, ურთიერთობა ოჯახის წევრებს შორის, ხელსაქმე და ხელმარჯვეობა, სარწმუნოება, კულტურა და ტრადიციები

* * *

დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ ბაიაზე

ინდექსი და ხელმოწერის პირობები ასეთია:

76052

სამი თვით - 7 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით - 15 მან.
ერთი წლით - 30 მან.

თუ ახლავე გააფორმებთ ხელმოწერას, წლის ბოლომდე დარჩენილი ყველა ნომრისთვის გადასახდელი გექნებათ 20 მან.

ხელმოწერისას ჟურნალის თითო ნომერი 50 კაპიკით იაფი დაგიჯდებათ.

გაფიცვა

საგაფიცვო ფონდი

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის საგაფიცვო-საკოორდინაციო საბჭოს ინიციატივით, შეიქმნა საგაფიცვო ფონდი ბინსოცბანკის ქუთაისის განყოფილებაში (ანგარიშის № 270079). აღნიშნულ ანგარიშზე დახმარება შესაძლებელია, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

საკუთარ სახლში

გამოჩენილი მწერლის სახელობისა

ქუთაისის № 31 საშუალო სკოლას მიენიჭა გამოჩენილი ქართველი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას სახელი. ეს სასწაველებელი სახელგანთქმული კლასიკოსის სახელთან დაკავშირებულია საინტერესო შეხვედრებითა და მეგობრული კონტაქტებით.

ამ მოვლენების აღსანიშნავად სკოლაში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო, რომელიც მიეძღვნა მოახლოებულ აღსანიშნავს თარიღს — კონსტანტინე გამსახურდიას დაბადების 100 წლისთავს.

სურათებზე: ამიერიდან ქუთაისის № 31 საშუალო სკოლა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობისაა; ეძღვნება კონსტანტინე გამსახურდიას ნათელ ხსოვნას; ზეიმი სკოლის ეზოში.
ბურამ ბერსამიას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გამოხმაურება

ბნელა, ბატონებო?

წინ მიდევს დამოუკიდებელი „გაზეთი „7 დღე“ № 16 (34) 19 აპრილი 1991 წელი, რომლის რედაქცია წინდახედულად აუწყებს მკითხველს, რომ „თურმე იგი „ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით, არ გამოხატავს პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს“. ეს ალბათ ისე უნდა გავიგოთ: თუ გაზეთის რომელიმე პუბლიკაციაში „აკარიან რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენლის წერილ დამსახელ ინფორმაციას“ შეეხვიდო, ეს უბრალო დამთხვევაა ამ ორგანიზაციების ინტერესებისა და ჭეშმარიტი ფაქტებისა. კეთილი! ამას რაღა სჯობს. ახლა კი მივყვეთ ზემოთ აღნიშნულ ნომრის ერთ პუბლიკაციას.

გვერდი პირველი: „დღეს ნომერშია! — სურათზე ვხედავთ პატრიოტ პირველის ან ეკატერინე მეორის დროინდელ გრენადერს, „ველიკორუსული დერეფამორდობის“ კლასიკურ საყრდენს და იქვე ვკითხულობთ, — საგარეჯოს პრეფექტი ბატონი გურამ ისაკაძე: მიმაჩნია, რომ საუკეთესო გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის ბატონყმობის აღდგენა!..“ (მკითხველის პირველი შთაბეჭდილება — ხომ არ გიგიებია ბატონი პრეფექტის?).

გვერდი მესამე: „ბაარონი წვერიკაშაშვილი და სხვები“ ასე ჰქვია სტატიას. (უნდა მოვახსენო პატივცემულ ავტორებს, რომ ქილიკი წყალში ჩაეყარათ. იგი აქ სრულიად უადგილოა, რადგან წვერიკაშაშვილები ტახტის ანანურები გახლავენ.

წერილში გადმოცემულია კახეთის რეგიონის სამ პრეფექტთან და კოლმეურნეობის ორ თავმჯდომარესთან საუბრის შინაარსი ავტორთა უნვი კომენტარით.

ჯერ საგარეჯოს პრეფექტს — ბატონ გურამ ისაკაძეს შეხვედრიან და პირველივე სტიქონებიდან ცდილობენ მკითხველს გახუმტკიცონ აზრი, რომ „ბატონყმობის მოსურნე“ პრეფექტი მართლაც გაუვალი რეგვენია. აბა, სხვა რაში დასჭირდათ, რომ პრეფექტს თქმევინეს — რაიონში ერთ-ერთი ძირითადი სირთულე „მხედრიონთანაა“ დაკავშირებულიო? „მხედრიონმა“ ხომ ამ ორი თვის წინ, პრეფექტის მოსვლის პირველსავე დღეებში შეწყვეტა არსებობა: ნაწილი პატიმრობაშია, ხოლო დარჩენილებმა ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი. ეს ამბავი პრესაშიც და ტელევიზიაშიც გაუშუქდა. განა შეიძლება პრეფექტს (რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ ამბებში) ეს დავიწყნოდა? მაგრამ სტატიის ავტორები ჯიუტად ცდილობენ, რადაც არ უნდა დაუჯდეთ დაარწმუნონ მკითხველი, რომ პრეფექტი „ვერ არის კარგად“.

შემდგომ ამისა მოჰყავთ კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა ბატონყმობის თაობაზე და აღტაცებულნი ჭყლოპინებენ: ნახეთ, ნახეთ! ეს რა გავიგეთ, ამას რას მოვესწარითო! ყურებს არ ვუჯერებდითო! თვით რუსეთმაც კიო... და ასე შემდეგ.

დაავიწყდათ ბ-ნ ბაღაშვილს, ზუბაშვილს, მახარაშვილსა და ქორიძეს, რომ 70 წლიანმა კომუნისტურმა ტირანიამ რუსეთის იმპერია 1861 კი არა, 861 წლის დონესაც კარგა გვარიანად ჩააცილა და ამკამად საღიაც ადრეული მონათმფლობელური წყობის წიაღიდან გვიწევს ახლის შენება. ჩვენი მაშინდელი მონური აფიქსოვის კი მოგეხსენებათ, ფეოდალიზმი მართლაც „ნათელი მომავალია“. აი ეს იგულისხმა მათთან საუბარში გურამ ისაკაძემ, რომელმაც შეცდომით მიიღო ჩასაფრებული მოქალაქეები ფესიერ, კეთილმსურველ და განათლებულ ადამიანებად. მკითხველს შევახსენებ ანგდოტს: ძველ რომში მონების დემონსტრაციამ და მოაქვთ ტრანსპარანტები ლოზუნგით: „Даздравствует феодализм — светлое будущее человечества!“.

ადგილი მისახვედრია, საიდან მოდის შემდგომი ირონიული ტირადა „დიქტატურაზე, ბატონყმობის მსურველ პრეფექტებზე, ლორდ ისაკაძეს და ჰერცოგ ქორიძეზე. „ძალიან ცხვირშისაცემია პრეფექტურის ინსტიტუტის შემოღებისას კონგრესის მიერ, დიქტატურის საშიშროების“ გამო ატეხილი ბინძური აეიოტაჟის ხუნი.

თუ რედაქცია აპირებს მოჩვენებითად მაინც ერთგული დარჩეს თავისი პრინციპისა — „არ გამოხატოს არც ერთი პოლიტიკური პარტიის და ა. შ...“, ვურჩევთ მომავლისათვის ოდნავ უფრო კვალიფიციური ჟურნალისტები შეარჩიოს, რადგან ძალიან თეთრი ძაფით კერავენ ეს დალოცვილები.

ახლა რაც გურჯაანის პრეფექტს ბ-ნ მალვა ფინწყალაშვილს შეეხება. წერილის მეორე ნაწილი სწორედ მასთან და ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბატონ ნოდარ ქურდაძესთან საუბრის გამოცემას ეთმობა. მოგვყავს ვრცელი ციტატა:

„— თქვენ ბრძანეთ, რომ სოფელ ყიტაანის მცხოვრებლებმა გადასახლება გადაწყვიტეს. მათ თქვენ ამის შესახებ ოფიციალურად მოგმართეს?

— არა, არა. მათ ჩვენ თვითონ შევთავაზეთ გადასახლება.

— ვთქვათ, სოფლელები აიყარნენ და წავიდნენ. რას მოიგებთ ამით რაიონი?

— რას დაგაკარგავთ, რო?“

ეს რა გავიგონეთო, რა ბარბაროსობააო! — წაიმნინეს თავში ხელი ავტორებმა და იქვე მოგვაწოდეს ასეთი გულისამაჩუყებელი ინფორმაცია:

„ცნობისათვის: ყიტაანი არის ისტორიული ადგილი გურჯაანის რაიონში. აქ ოდესღაც ყოფილა სოფელი, რომელიც ისტორიულ ბედუკუღმართობას და მალარიას გაუნადგურებია. დაახლოებით ასი წლის წინათ, ნასოფლარის მიდამოებში ახალგორის რაიონიდან ჩამოსახლებული ოსური ოჯახები. მათ რამდენიმე ადგილი გამოუცვლიათ და საბოლოოდ იქ დაფუძნებულან, სადაც ახლა ცხოვრობენ. მათი მშობლიური ენა ქართულია. ყველა მათგანს დამთავრებული აქვს ქართული სკოლა. მისდევენ, ძირითადად, მევენახეობას. ფიმეანტიქართულ მოღვაწეობაში რომელიმე მათგანი შემჩნეული არ ყოფილა.

29 მარტს ყიტაანელებს გამოურთეს ელექტროენერგია, მოიხსნა სამარშრუტო ავტობუსი (სოფელი ტრასიდან ექვსი კილომეტრით არის დაშორებული), შეწყდა პურის მიწოდება, დაიხურა ბაგა-ბაღი.

ყველა გლეხს ჩამოერთვა იჯარით ჭერ კიდევ შარშან გაბორეულნებული მიწის ნაკვეთი. რაიონში გავრცელდა ყოველად დაუჯერებელი ჭორები. ჩვენ გახლდით ამ სოფელში და ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილეთ“.

მივმართავ ჩემგან აწ უკვე ველარატივცემულ ავტორებს. ბატონებო, ცნობისათვის: ცხინვალი არის ისტორიული ადგილი შიდა ქართლში. აქ ოდესღაც ყოფილა ქართველებით დასახლებული სოფელი, რომელიც ისტორიულ ბედუკუღმართობას და დაახლოებით ასი წლის წინათ ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულ ოსურ ოჯახებს გაანადგურების პირამდე მიუყვანიათ, თუმცა არც ერთი იქ მაცხოვრებელი ქართველი რაიმე ანტიოსურ მოღვაწეობაში შემჩნეული არ ყოფილა. მიუხედავად ამისა ოსებს გადაუწყვავთ ქართველებისთვის სახლ-კარი, გაუბახებიათ ქალები, დაუბოციათ დიდი და პატარა, ცოცხლად დაუწყვავთ დაკრილები და ა. შ. მე იქ გახლდით და ყველაფერი საკუთარი თვალით ვიხილე.

როგორ გეკამთ, ბატონებო?

ყვარლის პრეფექტს კი სწორად ის უთქვამს, რაც უნდა ეთქვა თქვენისთანა ვაიპუმახისტებისთვის. მით უმეტეს, რომ თქვენივე სტატიებით „არავითარი სტატიკური ან წერილობითი განკარგულება არა ქართველთა (მათ შორის ოსთა) დისკრიმინაციის შესახებ არ არსებობს“. თქვენს წერილს ხომ სასწრაფოდ და ყიკინ-ყიკინით აიტაცებს ცენტრალური პრესა და მსოფლიო მასშტაბით გაიკრავს სამარცხვინო ჯვარზე ნაციონალისტ პრეფექტებს!

ბატონი შალვა ფინწყალაშვილი ალბათ თვითონ გაგაცემთ პასუხს თქვენს შეკითხვაზე — „რას მოვიგებთ“.

მე კი გეკითხებით თქვენ, ბატონებო, ვის გულს იგებთ?

რომან ქევანიშვილი

მონორარი გადაირიცხოს ხამჩ-ახლოს აღორძინების ფონდში.

სხვადასხვა

შეიქმნა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია

ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია — სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია — შეიქმნა საქართველოში. მისი დამფუძნებელი კონფერენციის მუშაობაში, რომელიც თბილისში გაიმართა, მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის პრესის წარმომადგენლები.

კონფერენციის მონაწილეებმა პატივი მიაგეს შესანშაავი ჟურნალისტის მიხეილ კაკაბაძის — საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის პირველი თავმჯდომარის ხსოვნას. ამ ფედერაციამ, რომელიც 1964 წლიდან არსებობს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სპორტულ ჟურნალისტთა საქმიანობაში, თუმცა იგი დიდად იყო დამოკიდებული შესაბამის საკავშირო ფედერაციაზე. დღეს მას უკვე აღარ ძალუძს გადაწყვიტოს დროით ნაკარნახევი პრობლემები. ამიტომაც შეიქმნა ახალი ორგანიზაცია, რომლის დაფუძნების დროსაც განინილეს და მიიღეს მისი საქმიანობის დებულების პროექტი, აირჩიეს ხელმძღვანელი ორგანოები და სარევიზიო კომისია.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია არის დამოუკიდებელი სრულფასებანი ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და თავისი საქმიანობის დებულების შესაბამისად. მას აქვს იურიდიული უფლება და ანგარიშვალდებულია მხოლოდ თავისი უმაღლესი ორგანოს — ყოველწლიურად მოწყობილი კონფერენციის წინაშე. იგი აქტიურად ითანამშრომლებს რესპუბლიკურ და საერთაშორისო შემოქმედებით კავშირებთან, სპორტულ და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან.

ასოციაცია იცავს თავისი წევრების უფლებებს, ახორციელებს ღონისძიებებს მათი მუშაობისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, პროფესიული ოსტატობის ამაღლებისათვის. საქმიან კონტაქტებს ამყარებს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სპორტულ ჟურნალისტთა კავშირებთან და ფედერაციებთან, სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციასთან, რომელშიც სრულუფლებიან წევრად შესვლა ამ ახალი დამოუკიდებელი ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ასოციაციის გეგმებში შედის სპორტული ლიტერატურის გამოცემა, სამანკო ანგარიშების, მათ შორის საკალაკო ანგარიშების გახსნა, კომერციული საქმიანობა, დამხმარე საწარმოების შექმნა, სპონსორებთან თანამშრომლობა. ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციები მოეწყობა ოთხ წელიწადში ერთხელ.

ასოციაციის დებულების დამტკიცების და მისი წევრების უფლება-მოვალეობათა განსაზღვრის შემდეგ აირჩიეს პრეზიდიუმი 13 კაცის შემადგენლობით. მას დაევალა სპორტული ჟურნალისტის სტატუსის შემუშავება.

ალტერნატიულ საფუძველზე მოეწყო ასოციაციის პრეზიდენტის არჩევნები. სამი დასახელებული კანდიდატიდან ორმა — გაზეთების „სარბიელის“ და „ლელოს“ რედაქტორებმა ზურაბ ფოცხვერიამ და თენგიზ გაჩეჩილაძემ მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები. ამასთან, მეორემ იმის გამო, რომ არის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი და შეუძლებლად მიაჩნია ორი საზოგადოებრივი თანამდებობის შეთავსება.

ასოციაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს გაზეთ „სარბიელის“ რედაქტორის მოადგილე ელგუჯა ბერიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად — საქართველოს ტელევიზიის სპორტული კომენტატორი თამარ ბალავაძე და ქუთაისელი ჟურნალისტი თამაზ ხარაბაძე. გენერალურ მდივნად აირჩიეს საქართველოს სპორტული ჟურნალისტების კიტერანი, გაზეთ „კაბადონის“ წარმომადგენელი ჯიმშერ ენუქიძე.

საქინფორმი.

განცხადება

შაგათ-კვირას, 27-28 აპრილს, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება სრულიად საქართველოს ღია ჩემპიონატი დამდგარ მკლავჭიდში. შეჯიბრება ორივე დღეს 12 საათზე დაიწყება.

ათლეტების გარდა აქ—თავიანთ ხელოვნებას უჩვენებენ მოცეკვავეები და მომღერლები.

ასპარეზობაზე მოწვეული არიან უცხოელი მკლავჭიდლებიც.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებმა რაიონებისა და ქალაქების ნაკრებმა გუნდებმა სასწრაფოდ უნდა მიაკითხონ ადგილობრივ სპორტკომიტეტებს და რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტს (შეჯიბრება გაიმართება 59, 68, 80, 90 და მძიმე წონით კატეგორიებში).

მკლავჭიდის ფედერაციის წარმომადგენლებთან შეხვედრა შეგიძლიათ ყოველდღე 4 საათიდან თბილისში, ასკ-ს სპორტდარბაზში (ვაკე-საბურთალოს გზაზე).

გთხოვთ, დროულად წარმოადგინოთ განცხადები სპორტის დეპარტამენტში ან მკლავჭიდის ფედერაციაში.

საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: ვეფხვი, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
ბეჭდავს ოფსეტური წესით საგამომცემლო კორპუსში, ბოშარიულის ქ. № 29.
ტირაჟი [illegible]

საქართველოს რესპუბლიკა

უცხოეთში მცხოვრებო თანამემამულენო!

დღეს, როცა ჩვენი სამშობლო თავისუფლებისკენ მიმავალ აღმასვლის გზაზეა, როცა საქართველომ დემოკრატიული არჩევნებით აირჩია პირველი კანონიერი მთავრობა, რომელმაც 70 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა, როცა რეფერენდუმით საქართველოში მცხოვრებმა ყველა ხალხმა გამოხატა თავისი ნება — გამოვიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, კრემლმა და მისმა ლიდერებმა დაუნდობელი ბრძოლა გამოგვიცხადეს ეკონომიკური, ენერგეტიკული ბლოკადების ნაკადი ხერხით, და, რაც მთავარია, გააღიზიანეს ეთნოკრიზისები, აგვიმხედრეს საქართველოში მცხოვრები ოსები, რომლებმაც სწორედ საქართველოში განამტკიცეს და განავითარეს თავიანთი ეროვნული კულტურა, ენა და ეროვნება, საბჭოეთში და მსოფლიოში კი ცენტრალური პრესა, რადიო და ტელევიზია ფაქტებს უკუღმართად წარმოაჩენს, პროპაგანდის ბოროტი ძალების ამუშავებით, ცილისწამებითა და დემაგოგიით ცდილობენ სახელი გაუტეხონ კაცმოყვარე ქართველ ხალხს, რომელმაც თავის სახლში მიიღო ასზე მეტი ეროვნების შვილი, აქ რომ ასე მშვიდად და მეგობრულად ცხოვრობენ.

საქართველოსთვის ჭეშმარიტებისაკენ სვლის გზა ისტორიულად ყოველთვის ეკლიანი იყო. ასეა ახლაც.

9 აპრილს დაღუპულთა გლოვის ცრემლი ჯერაც არ შეგვშრობია და კვლავ ეღვრით ცრემლებს სამაჩაბლოში წამებულთა და იქედან დევნილ ქართველთა უბედურებაზე, ბარბაროსულად დამწვარ წმინდა გიორგისა და სამების ეკლესიებზე, რომლებიც შეგვირცხვენეს საქართველოში დამატებით შემოყვანილმა ჯარის ნაწილებმა მაშინ, როცა თითქმის მთლიანად იყო მოგვარებული ქართველებისა და ოსების კონფლიქტი, ქართველების ნანატრი თავისუფლებისაკენ ლტოლვის გამო გულგაავებულმა სალდათებმა ჯერ ქართული მილიცია განაიარაღეს, გამოყარეს შიდა ქართლიდან, და დაიწყეს მოსახლეობის დაწიოკება. დღეს საქართველო თითქმის ომის პირობებშია.

ძვირფასო თანამემამულენო, ვიცით, რომ ჩვენი ტკივილი თქვენი ტკივილია, გვჯერა, რომ მზად ხართ დღეს გასაჭირში ჩავარდნილ სამშობლოს მხარში ამოუდგეთ. სწორედ დღეს გვმართებს ერთმუშტად შეკვრა, ერთმანეთის სიყვარული, ურთიერთმხარდაჭერა...

ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ, მაგრამ ერთად თუ ავიმაღლებთ ხმას ძალმომრეობის წინააღმდეგ, ჩვენი ხმა ძლიერი და ყოვლისშემძლე იქნება, საერთო ძალისხმევით უნდა მივაღწიოთ საქართველოს სრულ განთავისუფლებას საბჭოთა იმპერიისაგან. მივაწვდინოთ ჩვენი სიმართლის ხმა ცივილიზებული ქვეყნების მთავრობებს, პრესას, რადიოს, ტელევიზიას, ვინაიდან თავისუფალი სამყაროს მხარდაჭერის შემოხვევაში გვექნება გარანტია იმისა, რომ მალე მივაღწევთ სრულ დამოუკიდებლობას და საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოდან.

გვფარავდეს უფალი!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოებისა და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია.